საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვუნი სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი. 2021 წ. №205 (9324) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ლეგენდები, რომლებიც აკნინებს ცნობიერებას

ალექსანდრე პოტიომკინი აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი მეცნიერია, რომელიც ამჟამად ესპანეთსა და გერმანიაში მოღვაწეობს. მისი ნაშრომების საგაზეთო ვარიანტები ჩვენს გაზეთში წლების წინ იბეჭდებოდა, რამაც ავტორის ყურადღება და კმაყოფილება გამოიწვია. წინამდებარე წერილი აფხაზეთში გაზრდილი კაცის გულისტკივილია, რომელიც მეცნიერულად ამტკიცებს საქართველოს ძირძველი კუთხისა და აქ მცხოვრებთა ჭეშმარიტ ისტორიას.



მიმართვა საქართველოს პარლამენტარებს, ჟურნალისტებს, საჯარო დიპლომატიას, საზოგადოებრიობას, უფლებადამცველებს, „აფსუას“ ეთნოსს...

„აფხაზი“ ეს არ არის ეროვნული კუთვნილება, არამედ ქართული ეთნონიმია, ტოპონიმიც კი. ეს შინაარსობრივად ისეთი ტოპონიმების ტოლფასია, როგორიცაა „თბილისელი“, „ბერლინელი“, „ვარშაველი“, „როსტოველი“.

სიტყვა „აბხა“ – ეს მათთვის ვინც არ იცის ან დაავიწყდა – მეგრულად და ლაზურად, და, მაშასადამე, ქართულად ნიშნავს „ბეჭს“ და „კიდეს“. ამ სიტყვისგან წარმოიშვა „აფხაზეთი“ (რუსულად – „Абхазия“ – ადგილის სახელწოდების პირველი თარგმანი XIII საუკუნის დამლევს გამოიყენეს).

* * *

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის დამდეგს შეიქმნა ცნობილი ქართული სამეფო „აფხაზეთი“ (რუსულად „Абхазия“), დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა – **ქართული**, რელიგია – **ქრისტიანობა**, მართლმადიდებლობა, ღვთისმსახურება წარმოებდა **ქართულ ენაზე**. მთელი დასავლეთ საქართველო - აფხაზეთი – ეს არის სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ეგრისი, ლაზიკა – მის შემადგენლობაში შედიოდა. ანუ აფხაზები (სიტყვის რუსული ვერსიით „абхазы“) ეს დასავლელი ქართველები არიან. აფხაზეთის სამეფო ჩვენი წელთაღრიცხვის 746 წელს დაარსა **ერისთავმა** (რაც ქართულიდან თარგმანში ნიშნავს „управляющий князь“, სიტყვასიტყვით, ერი – „нация“, თავი – „голова“, ანუ „глава нации“) ლეონ I-მა, ეროვნებით **ქართველმა**, რომლის მშობლიური ენა იყო **ქართული**, სარწმუნოება კი ქრისტიანული. ლათინურად და ბერძნულად „ლეონი“ ნიშნავს „ლომს“. შემდეგ აფხაზეთის პირველი მეფე იყო ლეონ II, ლეონ I-ის ძმისწული, შთამომავლობით ერისთავი, მის შემდეგ კი თეოდოს II (ლეონ II-ის ვაჟი), დემეტრე (ლეონ II-ის ვაჟი) ერისთავები. 861 წელს აფხაზეთის მეფე ხდება იოვანე, მერე ადარნასე, მერე კი ბაგრატ I (სახელი ბაგრატი სპარსულად „ღვთის რჩეულს“ ნიშნავს). შემდეგ: კონსტანტინე (ბაგრატ I-ის ვაჟი), გიორგი (კონსტანტინეს ვაჟი), ლეონი (გიორგის ვაჟი) და ასე შემდეგ.

აფხაზეთის მეფეები მუდამ მხოლოდ **ქართველები** იყვნენ, დედაქალაქი კი იყო ქუთაისი, სახელმწიფო სამეტყველო ენა და დამწერლობა **მხოლოდ ქართული**, რელიგია – მხოლოდ ქრისტიანული, მართლმადიდებლური. იმხანად მეფეებს დიდებული და მნიშვნელობის შემცველი სახელები ერქვათ: ლეონი – „ლომი, ნადირთა მეფე“, გურგინი – მეგრულად და ლაზურად „ჭექა-ქუხილი“, ტიგრანი – სპარსულად „ვეფხვი“, ბაგრატი ...

იხ. 6-7 გვ.

რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?

ისმის კითხვა: რატომ უწოდებთ თქვენ, ქართველები „აფსუას“ მცირე უცხო ეთნოსს აფხაზებს? ამით თქვენ შეურაცხყოფთ თქვენს წინაპრებს, ბილწავთ საკუთარ ისტორიას, აკნინებთ და სახელს უტეხთ თქვენს მრავალრიცხოვან ეთნოსს. აფხაზები ეს თქვენ ხართ, ქართველები – მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, კოლხები, იბერები და ასე შემდეგ, ხოლო „აფსუები“ ეს მოსული მცირერიცხოვანი ტომია, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა და დაფუძნდა ამ მიწაზე XIX საუკუნის დამდეგს.

პროვოკატორებისა და ექსტრემისტების დოლი

„საკაშვილი ამერიკაში პასკვილებს წერდა ზვიად გამსახურდიაზე, კავკასიის დიქტატორს ეძახდა და სადამ ჰუსეინს ადარებდა“ 3

ნაციონალური ტერორი სახელმწიფოს წინააღმდეგ...

...უკრაინიდან სამხედროები 23 ნოემბერს აქციაზე ექსტრემალურ ვითარებაში გამოჩნდებოდნენ!

ყველა პატიმარს მოვეპყროთ იმ სტანდარტებით, როგორსაც საკაშვილი ითხოვს...

არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი **გელა ნიკოლეიშვილი** აცხადებს, რომ ყველა პატიმარმა უნდა დაიყენოს იმავე სტანდარტებით სარგებლობის უფლება, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ითხოვს და ნახონ, ისევე ეცდება თუ არა ომბუდსმენი მათი უფლებების დაცვას, როგორც ამას ექსპრეზიდენტის შემთხვევაში აკეთებს.

„არცერთ პატიმარს არ უნდა შეახონ ხელი, თუ ის არ შედის და ამბობს: „არ მინდა ამ დაწესებულებაში შესვლა“, არცერთ მოშიმშილეს არ უნდა აკადრონ, რომ თუ საავადმყოფოში გადაიყვანენ, ფანჯარას გისოსები ჰქონდეს. ეს სტანდარტები უნდა დაწესდეს. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პატიმარს, მოითხოვონ ის სტანდარტები, რომელსაც სააკაშვილი ითხოვს, მიმართონ საქართველოს სახალხო დამცველს და თუ ის თითოეული პატიმრის უფლებას ასეთ დონეზე დაიცავს, ამას მხოლოდ მივესალმებით“, – აცხადებს გელა ნიკოლეიშვილი.

ვისაც უნდა შემწეობა, იმუშაოს და მიიღოს ხელფასიც...

ძალიან მალე სოციალური დახმარების მიმღებ ადამიანებს სამუშაო ადგილებს შესთავაზებენ და ეს იქნება მათთვის სახელმწიფო შემწეობის შემნაცვლებელი პროგრამა. მართალია, სოცდახმარება არ გაუქმდება, თუმცა იგი, სავარაუდოდ, მოქალაქის მიღებულ ანაზღაურებაში აისახება. მთავრობა აპირებს სწრაფად ჩამოაყალიბოს მოქნილი სისტემა, რომლის შედეგადაც დაუცველებმა სახელმწიფო დახმარება ხელფასის სახით მიიღონ, ოღონდ კონკრეტული საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

ამჟამად საქართველოში საარსებო შემწეობის სახით სოციალურ დამხრებას 633 000 ადამიანი იღებს, რაც მოსახლეობის 17 პროცენტია. მათგან თითქმის, 200 000 შრომისუნარიანი მოქალაქეა, რომლებიც დასაქმებისგან თავს იმ მიზეზით იკავებენ, რომ დახმარებას ვეღარ მიიღებენ. ინიციატივის რეალობად ქცევის შემდეგ, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებში ეს შიში გაქრება და ისინი დასაქმებას თავისუფლად შეძლებენ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, უნდა შეიქმნას ახალი პროგრამა, რომელიც ამ მოქალაქეებს სხვადასხვა სახით დასაქმების შესაძლებლობას ან პროფესიული გადამზადების შესაძლებლობას მისცემს, რათა სოციალური დახმარება ხელფასებით ჩაანაცვლონ.

„ჩვენ უახლოეს რამდენიმე კვირაში წარმოგიდგენთ ახალ სოციალურ ხედვას, პოლიტიკას, თუ როგორ უნდა შევცვალოთ არსებული, მე ვიტყოდი მანკიერი სისტემა. ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი პროგრამა – საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების პროგრამა და ნაცვლად სოციალური დახმარებისა, ჩვენს შრომისუნარიან მოქალაქეებს უნდა შევთავაზოთ სამუშაო. ასეთი საზოგადოებრივი სამუშაო ადგილები შეგვიძლია შევქმნათ ათასობით და ათიათასობით თითოეული ქალაქისთვის, მუნიციპალიტეტისთვის.

მოსახლეობას, ჩვენს შრომისუნარიან მოქალაქეებს გავუჩენთ განცდას, პერსპექტივას, მოტივაციას, რომ რეალური საქმით დაინტერესდნენ. ჩვენი მოქალაქეები შრომას უნდა მივაჩვიოთ. რა თქმა უნდა, ყველას სურს სამუშაოს შოვნა, მაგრამ თუ სახელმწიფო პირობებს არ უქმნის, რა თქმა უნდა, დამაბრკოლებელი ბარიერია. ამ პროგრამის ფარგლებში შევიმუშავებთ, ჩავრთავთ პროფესიულ სასწავლებლებს, უამრავ სპეციალობაში მოხდება მათი გადამზადება, შეიძლება ერთობლივად შევიმუშაოთ რამდენიმეკვირიანი პროგრამები, ამაზე საუბარი გვქონდა და რეალურად შევცვლით ამ სტატიკურ, გაყინულ მდგომარეობას“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

იხ. 5 გვ.

გიორგი ხელაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას“ ნდობის ფაქტორი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ამოწურული აქვს

„ევროპარლამენტარებთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა ერთი რამ, როგორც ჩანს „ნაციონალურ მოძრაობას“ ნდობის ფაქტორი ამოწურული აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები რჩებიან, მათ შორის ევროპარლამენტში, ვინც მათ დღის წესრიგს ჯერ კიდევ გაგებით ეკიდება. ჩვენი აზრით, რაც დავინახეთ პარტნიორებთან მუშაობით, რომ საქართველოს პოლიტიკაში არსებობს რესურსი იმისა, რომ დაიწყოს ახალი დიალოგი, მაგრამ საუბედუროდ, როგორც ჩანს „ნაცმოძრაობა“ ამ დიალოგის ნაწილად უკვე სტრასბურგში და ევროპაში არ მოიაზრება. ვფიქრობ, რომ ეს დიალოგი შეიძლება წარიმართოს მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის. მაგრამ „ნაცმოძრაობას“ ამის რესურსი არ გააჩნია. ევროპარლამენტარებს უნდათ, რომ საქართველო გადავიდეს პოზიტიურ დღის წესრიგზე, მაგრამ საუბედუროდ, პოზიტიური დღის წესრიგის შექმნა „ნაცმოძრაობასთან“აღარ გამოდის“, – აღნიშნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ხელაშვილმა.

ირაკლი ქადაგიშვილი: ოპოზიციას ამოძრავებს მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მანიაკური სწრაფვა

„ისინი ჯიუტად ამ დესტრუქციულ დღის წესრიგს ადგანან. მათ არ აინტერესებთ, ქვეყანა როგორი იქნება. მათ ამოძრავებთ მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მანიაკური სწრაფვა. რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩაატარონ და რამდენჯერაც არ უნდა დამარცხდნენ, ყოველ ჯერზე დაიწყებენ ერთსა და იმავე ძველი ნარატივის ძახილს – ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები“, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

იაგო ხვიჩია: ოპოზიცია კონკრეტული იდეების გარშემო უნდა გაერთიანდეს და არა მიშას გარშემო...

„ოპოზიციას კონკრეტული **იდეების გარშემო გაერთიანებას ვთავაზობთ, სადაც გასაგები იქნება, თუ როგორი ქვეყანა გვინდა, ვიდრე ასეთი იდეა არ არსებობს, მანამდე არც რიგგარეშე** არჩევნების მოთხოვნას და არც გაერთიანებას არ **აქვს აზრი. ჩვენ არ ვართ მიშისტები. როცა ერთი ადამიანის გარშემო ერთიანდებიან, არ არის საჩვენო. თუ არ ვცდები, „ლელო“ და ზურა ჯაფარიძე ხუთნომრიანი ნიშნით დადიოდნენ, ხალხს აგროვებდნენ არჩევნებზე, რათა ხუთი ნომერი შემოეხაზათ. ეს ჩემი აზრი კი არ არის, დადასტურებული ფაქტია, რომ ცოტა ხნის წინ ასე ხდებოდა. ცოტა ხნის წინ, ეს ხალხი ხუთი ნომრით გამოდიოდა და ვიცით, ხუთი ნომერი ვისი სიმბოლოა ქვეყანაში“,** – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

ზაალ ანჯაფარიძე: ზოგს ესირცხვილება გარკვეული ტიპის სამუშაო. ასეთი მენტალიტეტით ევროპაში არაფერი გვესაქმება

„ბევრი 500-ლარიან ხელფასს ხელფასად არ მიიჩნევს, ურჩევნია, წამოგორებული იყოს და სოციალური შემწეობა მიიღოს“, – ასე გამოეხმაურა ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე გადაცემაში – „თავისუფალი ხედვა“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოსაზრებას, რომელმაც აღნიშნა, რომ 300 000 შრომისუნარიანი მოქალაქე არ მონაწილეობს ქვეყნის განვითარებაში და ყოველთვე იღებს სოციალურ დახმარებას.

სააკაშვილის ტყუილებით და ნუნუნით ხალხი შეწუხდა!

„მეტი რა უნდა მოხდეს, კაცმა გონება დაკარგა და მისი ამომრჩეველი ქუჩაშიც არ გამოვიდა - ადამიანს 500 000-მდე ამომრჩეველი ჰყავს და იმ ღამეს 50 ათასიც კი ვერ მოიძებნა“

ქართველი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ახლა სააკაშვილმა და ოპოზიციამ რა სახის მოთხოვნებიც არ უნდა წამოაყენონ, ქუჩის აქციების მობილიზებას ვეღარ შეძლებენ. სააკაშვილმა საკუთარი ამომრჩეველიც გადაღალა და ქუჩაში ყველაზე რადიკალურად განწყობილი მხადამჭერებიც კი ვერ გამოჰყავს.

სააკაშვილის მოთხოვნების ახალ სიაში სასჯელის გადავადების მოთხოვნა ჯამრთელობის გამო იქნება. შესაძლოა, საუბარი საზღვარგარეთ მკურნალობაზეც იყოს. მესამე იქნება მოქალაქეობის აღდგენაზე საუბარი და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. თუმცა ისინი ეჭვობენ, რომ აქედან რომელიმე მათგანი გამოვიდეს.

„ჩვენი წინასწარმეტყველება ახდა. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ როგორც კი მოხდებოდა სააკაშვილის გადაყვანა სხვა საავადმყოფოში, მაშინვე საუბარი მის გათავისუფლებაზე დაიწყებოდა, რაც ძალიან მარტივი სცენარია. ადამიანს როდესაც 6-წლიანი სასჯელი აქვს შეფადებული, მან ეს სასჯელი უნდა მოიხადოს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფისთვის ჩვენს ქვეყანაში“, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**.

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** კი განმარტავს, არსებობს თუ არა სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების სამართლებრივი ბერკეტი ან მისი საზღვარგარეთ მკურნალობა რა შემთხვევაში არის შესაძლებელი.

„საქართველოს კანონმდებლობით პატიმარს, შესაძლოა, მისი ჯამრთელობის გამო სასჯელი გადაუვადდეს, მაგრამ მას ყველა საქმეზე ბრალი უკვე მისჯილი უნდა ჰქონდეს. სააკაშვილის შემთხვევაში კი ასე არ არის. ჯერ ერთი, მას სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა არა აქვს და მკურნალობას ექვემდებარება, მეორეც სხვა საქმეებზე ბრალი გამოტანილი არ აქვს. სასამართლოში პროცესები გრძელდება. სასამართლო ჯერ მხოლოდ ორზე ჩატარდა. მისი ამ სტატუსით პატიმრობა ვერ გადავადდება, ეს არ შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს.

„საზღვარგარეთ მკურნალობის თემას რაც შეეხება, ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მისი მკურნალობა საქართველოში ვერ ხერხდება და ამის გამო საზღვარგარეთ გადაყვანაა საჭირო. თუ ეს დაამტკიცეს, ამის შემდეგ კი სახელმწიფო ვალდებულია პატიმრის საზღვარგარეთ გადაყვანა უზრუნველყოს. თუმცა ამას სააკაშვილი ვერ დაამტკიცებს, რადგანაც მას, როგორც ვხედავთ, გორის სამხედრო ჰოსპიტალში ჯერჯერობით მკურნალობენ“, – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილს რა მოთხოვნებიც არ უნდა ჰქონდეს, ის იმაზე მეტს ვეღარ შეძლებს რაც უკვე გააკეთა. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილის მიმართ, მართალია, ხელისუფლებას სხვა მოლოდინი ჰონდა, რომელიც არ გამართლდა, მაგრამ მისი ფაქტორი უკვე გათამაშდა. 3 წლის განმავლობაში თუკი „ოცნებამ“ ოპოზიციას ხელოვნურად კრიზისის შექმნის საშუალება არ მისცა, ისინი ვერაფერს იზამენ.

„კი ბატონო, გასაგებია, რომ სააკაშვილის ოჯახი და ადვოკატები მისთვის სასჯელის გადავადებას მოითხოვენ, მაგრამ რის საფუძველზე? რამე მძიმე დაავადება სჭირს თუ რა ხდება? ან მოქალაქეობის დაბრუნებაზე თუ ისაუბრებენ, მაშინ სააკაშვილმა მიმართოს ზურაბიშვილს თხოვნით და იქნებ უკმაყოფილებს. ეს რასაც საუბრობენ მხოლოდ პოპულიზმია. ეს კანონი თავად სააკაშვილის შემოღებულია. ადამიანი, როგორც კი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებს, საქართველოსას კარგავს.

სააკაშვილის გათავისუფლებაზე არც დასავლეთში საუბრობენ და არ მიაჩნიათ, რომ ის უკანონო პატიმარია. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მას სამართლიანად უნდა მოექცნენ. ეს კი სრულიად განსხვავებული რამ არის. მურუსიძის სასამართლო კი სააკაშვილს არ გაათავისუფლებს, ამიტომაც ყველაზე კარგ გამოსავალს ზაქარეიშვილი სააკაშვილის უკრაინაში გასტუმრებაში ხედავს. თუმცა მიიჩნევს, რომ ამას ხელისუფლება ჯერ არ



ლადო ბოჟაძე:

საკაშვილი ამერიკაში პასკვილებს წერდა ზვიად გამსახურდიაზე, კავკასიის დიქტატორს ეძახდა და სადამ ჰუსეინს ადარებდა

ბოლომდე შერეკილები...

„ჩვენ წინ გვიძღვის ჩვენი სულიერი და პოლიტიკური ლიდერი, ბუმბერაზი კაცი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მეუფე ნიკოლოზმა დავით აღმაშენებელს შეადარა, სავსებით საფუძვლიანად“, — აცხადებს „ნაცმოძრაობის“ წევრი **გია ბარამიძე** და მიიჩნევს, რომ რაც საქართველოში ხდება, ეს არის წმინდა ბრძოლა.

ქართველებს ისტორიულად ჰყავდათ ერის მამები და სულიერი ლიდერები, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი იშვიათი ტიტულების მინიჭება უფრო სულიერი ადამიანების მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ ხდებოდა. რამდენად საშიშია იმ ადამიანების სულიერ ლიდერებთან გაიგივება, ვის მიმართაც ქართველ ერს უამრავი კითხვა აქვს და ვისი სახელიც არაერთ ტრაგედიას უკავშირდება?!

ყოფილი დეპუტატი, ყოფილი პოლიტპატიმარი **ლევან გოგიჩაიშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილში სულიერ ლიდერს ხედავენ, ჯანმრთელები არ არიან.

„არა უშავს, გაივლის ეს პათოლოგია, მე ანომალიად ვაფასებ ამას. ეს გადახრაა. ალბათ, ფსიქიატრებისთვის საინტერესო ადამიანები არიან ისინი, ვინც სააკაშვილში სულიერ ლიდერს, დავით აღმაშენებელს, დიმიტრი თავდადებულს ხედავენ. ეს სექტანტიზმია. ფანატიზმი, ანომალია, ფსიქიკური პრობლემები, რაც გინდათ, ის დაარქვით, ჯანმრთელი პროცესი რომ არ არის, ეს ფაქტია“, — გვითხრა ლევან გოგიჩაიშვილმა.

* * *

ანალიტიკოსი **ლადო ბოჟაძე** ფიქრობს, რომ სასაცილო ამბავია სააკაშვილის სულიერ ლიდერად წარმოჩენა. ამ ნათქვამით ისინი აღიარებენ, რომ სექტა არიან და სულიერი ლიდერი ჰყავთ, თორემ როგორ შეიძლება, ქრისტიანმა ადამიანმა ვინმე გააღმერთოს ან კერპად აქციოს?! როგორ შეიძლება, დამოუკიდებლობის 30-ე წლისთავზე ერთ ადამიანს დაუკავშირონ წინსვლა თუ წარმატება?

„ფანტაზია უკვე იქამდე მივიდა, რომ თურმე სულიერი ლიდერი ჩვენთვის კი არ არის ჩვენი ეკლესიის წინამძღვარი ილია მეორე, ან სასულიერო პირები, არამედ სააკაშვილი ყოფილა სულიერი ლიდერი, რასაც კერპთაყვანისმცემლობამდე და, საბოლოო ჯამში, სექტანტობამდე მივყავართ ისევე, როგორც ზვიად გამსახურდიასთან სააკაშვილის შედარებას. ამაზე ზვიად გამსახურდიას ოჯახმაც შესანიშნავად ისაუბრა. სააკაშვილი როცა ამერიკაში იყო, მაშინ ბიძამისის და საბჭოთა კავშირის მაშინდელი უსაფრთხოების სამსახურის დავალებით, პასკვილებს წერდა ზვიად გამსახურდიაზე, კავკასიის დიქტატორს ეძახდა და სადამ ჰუსეინს ადარებდა. როცა მან 2003 წელს რევოლუციის წინ ეს ყველაფერი წალენჯიხიდან, სამეგრელოდან დაიწყო და პირველი პრეზიდენტის მომხრეები აიყოლია, რომ როგორმე შევარდნაძე დაესაჯათ და ჩამოეშორებინათ ძალაუფლებისგან, ამ ფორმულამ მაშინ იმუშავა, ახლაც ჰგონიათ, რომ ეს ფორმულა იმუშავებს. ზვიად გამსახურდიას თავისი ცხოვრებით, მოწამეობრივი აღსასრულით შეიძლება შეედაროს სააკაშვილი, რომელიც კიდევ ვერ გავიგეთ, შიმშილობს თუ არა? თვითმარქვია ხომ ვერ იქნება?“, — აცხადებს ლადო ბოჟაძე.

მისივე თქმით, სააკაშვილი როცა გვეუბნება, რომ 2003 წლამდე თურმე სახელმწიფო არ გვქონდა, ეს მცდარია. როგორ არ გვქონდა? ან თუ არ გვქონდა და სახელმწიფო ინსტიტუციები სუსტი იყო, შევარდნაძესთან ერთად სააკაშვილი არ იყო პასუხისმგებელი, როგორც მინისტრი, როგორც უმრავლესობის ლიდერი, შევარდნაძის თანაგუნდელი და მმართველი პარტიის ერთ- ერთი ლიდერი? განა სააკაშვილი მხოლოდ 2003 წელს მოვიდა პოლიტიკაში?

ყოფილი პოლიტპატიმარი **ნორა კვიციანი** მიიჩნევს, რომ ასეთი გამონათქვამებით აღიზიანებს ხალხს გია ბარამიძე. ასეთ რამეს რომ ამბობენ, უფრო მეტი დაზარალებული გამოდის მათ წინააღმდეგ აქციებზე.

„ბარამიძე პროვოკაციას უწყობს სააკაშვილს ასეთი სიტყვებით, განა თვითონ ბარამიძემ და სხვებმა არ იციან, ვინ არის სააკაშვილი? ქალს შვილები უკვდებოდა შიმშილით, პურის ფული არ ჰქონდა, ტყეში წავიდა ჯართის შესაგროვებლად, დაიჭირეს და შვილებიან დედას 6 წელი მისცეს. ასეთი ჯალათები არიან და ესენი უწოდებენ სააკაშვილს სულიერ ლიდერს, ეროვნულ გმირს და დავით აღმაშენებელს?! სოციალურ ქსელშიც დავწერე, ყველა დაზარალებული დაუპირისპირდება ამათ-თქო ზუსტად ამ გამონათქვამების გამო. ეროვნული გმირობა მაშინ რა არის? განა გმირობაა, ადამიანი შიგნით რომ ომობს და ქვეყანას ღალატობს, ტერიტორიებს აბარებს, ახალგაზრდებს სპობს? მაშინ კარგად ჰქონია საქმე ჩვენს ქვეყანას“, — აღნიშნა ნორა კვიციანმა.

მანანა ნოზაძე

იზამს, სანამ მას არ გაასამართლებენ.

„ხელისუფლება 3 წელი არ გამოფხიზლდება და დღეს სრულიად უსაფუძვლოა იმაზე საუბარი, რომ ოპოზიცია რაიმე სახის კრიზისს შექმნის და ხალხის დახმარებით რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. ამის არაფერი ნიშნები არ ჩანს. მართალია, „ოცნებამ“ დათმო და გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა, მაგრამ ეს იმდენად უსუსური გამარჯვებაა, რომ მისი ეფექტი მალევე გაქრება. სააკაშვილის ფენომენი ქართველ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი აღარ არის. ის მნიშვნელოვანი მხოლოდ საკუთარ ელექტორატშია. მისივე ამომრჩეველიც კი არ გამოვიდა და ქუჩაში სააკაშვილის გამო გაყინვა არ მოინდომა. ეს გამარჯვება არაფრის მომცემია და აქედან ოპოზიცია ვერაფერს იხეირებს“.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძესაც** უკვირს, ოპოზიცია რაზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ რამე მოიგო, ან კიდევ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა? ძაბირაძე განმარტავს, რომ ქართველ საზოგადოებაში მესამე პრეზიდენტის მიმართ შეხედულება იმდენად დალექილი და გამჯდარია, რომ მისი შიმშილობა და ქვეყანაში დაბრუნება მათ აზრს ვერ შეაცვლევინებს. მართალია, სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნების და შიმშილის შესახებ ხელისუფლება შეცდა, მაგრამ ეს იმდენად მცირე მოგებაა, რომ ამაზე მეტს ვერაფერს იზამს.

„იმაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს, როცა გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში კაცმა გონება დაკარგა და მისი ამომრჩეველიც კი ქუჩაში არ გამოვიდა. ადამიანს 500 000-მდე ამომრჩეველი ჰყავს და იმ ღამეს 50 ათასიც კი ვერ მოიძებნა, რომ ქუჩაში მძლავრი ტალღა შეექმნათ. წარმოგიდგენიათ, ყოველდღე, ენმის ამომრჩევლის 10% ქუჩაში რომ იდგეს, მართლა რამხელა კრიზისი შეიქმნებოდა? სად არის ეს ხალხი? სააკაშვილმა საკუთარი ამომრჩეველიც გადაღალა. მათაც კი არ უნდათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და დაპირისპირება. არჩევნების დღეს ხმას აძლევენ, მაგრამ ქუჩაში არ გამოდიან. ჩემი დაკვირვებით, მელია უფრო ადეკვატურია, ვიდრე სააკაშვილი. თუმცა ამომრჩეველი მელიას არ ჰყავს. ყველა ეს რესურსი სააკაშვილის არის. მიუხედავად ამისა, თავად ვეღარ ხვდება მის ამომრჩეველს რა უნდა. ახლა სააკაშვილმა რაც არ უნდა ილაპარაკოს, იქნება ეს სასჯელის გადავადება თუ მოქალაქეობის დაბრუნება, აზრი არაფერს აქვს. ხელისუფლებაზე წნეხი ვერ იქნება იმ სახის, რომ რამის გაკეთება აიძულოს. პირიქით, სააკაშვილის წუწუნით ხალხი შეწუხდა. ისედაც ამდენი პრობლემა აქვთ და უკვე ოპოზიციის ქცევა საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელია“, — ამბობს ძაბირაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ნაციონალური ტერორი სახელმწიფოს წინააღმდეგ...

...უკრაინიდან სამხედროები, 23 ნოემბერს აქციაზე ექსტრემალურ ვითარებაში გამოჩნდებოდნენ!

უკრაინიდან თბილისში ჩამოსული 6 მგზავრი, იმავე თვითმფრინავით უკან გააბრუნეს. მათ შორის არის პაშა კაშჩუკი, რომელიც ცნობილია იმით, რომ უკრაინაში სამხედრო ინსტრუქტორია და უკრაინელ სამხედროებს სნაიპერული იარაღიდან სროლაში ავარჯიშებს. კაშჩუკს Facebook-გვერდზე მითითებული აქვს, რომ არის ავტობლოგერი, უკრაინელი მოხალისე, ორგანიზაცია Combat-ua-ს დამფუძნებელი, რომელსაც ღია წყაროებში გასამხედროებული ტიპის ორგანიზაციად მოიხსენიებენ.

ამავე ინფორმაციით, ეს ორგანიზაცია უკრაინის სპეციალური ძალების დასახმარებლად შეიქმნა. არსებული ინფორმაციით, კაშჩუკის გადამზადებულია უკრაინაში მოქმედი საბრძოლო დანაყოფის, ქართული ლეგიონის — „მგლების“ მებრძოლებიც. ქართველი ლეგიონის ხელმძღვანელი, **მამუკა მამულაშვილი,** რომელიც უკვე საქართველოშია, ამ ინფორმაცის არ ადასტურებს, თუმცა ადასტურებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მონაწილეობს საპროტესტო აქციაზე და მშვიდობიანი ფორმით აპროტესტებს იმას, რაც მესამე პრეზიდენტის მიმართ ხდება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც უკრაინელ არაფორმალურ მებრძოლებს საქართველოში და კერძოდ ყაზბეგში „დასვენების“ სურვილი უჩნდებათ. შეგახსენებთ, რომ 29 სექტემბერს კიევი-თბილისის რეისით საქართველოში ჩამოფრინდა უკრაინელ მამაკაცთა 12-კაციანი ჯგუფი, რომლებსაც თან არ ჰქონდათ თანხა, უკან დასაბრუნებელი ბილეთები და ვერ დაასახელეს, თუ სად აპირებდნენ განთავსებას. შესაბამისად, 12-ვე უკან, კიევში იქნა დაბრუნებული. სახელმწიფომ არ გარისკა და გააკეთა ის, რაც გააკეთა — ისინი არ შემოუშვეს საქართველოს ტერიტორიაზე.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სააკაშვილთან კონტაქტში მყოფი უკრაინელი მებრძოლები საქართველოში ჩამოსვლას ცდილობენ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **ვლადიმერ ჩაჩიბაია** ფიქრობს, რომ სამხედრო ინსტრუქტორს საქართველოში შემოსვლის უფლება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მისცა!

„როდესაც საუბარი არის რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერების მხრიდან მაიდანზე, სამოქალაქო დაპირისპირებაზე და ასევე საუბარი იყო სამხედრო გადატრიალებაზე, კითხვის ნიშანი ჩნდება, თუ რატომ უნდა იყოს ორგანიზებული ასეთი ადამიანების შემოყვანა საქართველოში, თუ არა ის რადიკალური ქმედებები და ის პროვოკაცია, რომლისკენ არიან მიდრეკილი ზოგიერთი ადამიანი“, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას **ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.**

იხ. 8 გვ.

სააკაშვილი-ყიფშიძე-ალასანია – პირადი ვნებების ფარული ისტორია

„საჭიროა ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დამატება, რომ სააკაშვილის მკურნალობა გავაგრძელოთ. მიხეილ სააკაშვილი სუსტად არის, მთელი დღის განმავლობაში წნევის პრობლემები ჰქონდა. დილას ბადრაგმა არ მისცა ფანჯრის გახსნის უფლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ნევროლოგიურ მდგომარეობას. უკვე დაიწყო კვება, მაგრამ არავინ იცის რა მოხდება, როგორ გაგრძელდება ეს ყველაფერი. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტი“, – ამ განცხადების ავტორი პატიმარ სააკაშვილის პირადი ექიმი ნიკოლოზ ყიფშიძეა.

ეს ის ნიკოლოზ ყიფშიძეა, რომლის უცხოეთში ვიზიტებს მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან აფინანსებდა. საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის საქმე ერთ-ერთია, რაზეც მიხეილ სააკაშვილს ბრალი აქვს წარდგენილი. გამოძიების მასალების თანახმად, სხვადასხვა ხარჯებს შორის საქმის მასალებში აღწერილია ნიკოლოზ ყიფშიძის უცხოეთში ვიზიტების ხარჯები, რომელიც გამოძიების ინფორმაციით, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

საძმეში მტკიცებულების სახით დართული გადახდის ქვითრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ 2011-12 წლებში სხვადასხვა ქვეყანაში ნიკოლოზ ყიფშიძის ვიზიტები ბიუჯეტს 124 644 ლარი დაუჯდა. გერმანია, შვეიცარია, ჰოლანდია, იტალია, აშშ – ამ ქვეყნებში ნიკოლოზ ყიფშიძის ვიზიტი ბიუჯეტიდან არის ანაზღაურებული, როგორც ავიაბილეთების, ისე სასტუმროების მომსახურების და მათ შორის სამედიცინო გამოკვლევების ხარჯები. ექიმმა ყიფშიძემ იცოდა, რომ მისი პაციენტი დანაშაულს სჩადიოდა, როცა ბიუჯეტიდან აფინანსებდა მის ვიზიტებს, მაგრამ ნიკოლოზ ყიფშიძეს უარი არ უთქვამს ქართველი გადამხდელების ფულით დაესვენა უცხოეთში.

სწორედ ყიფშიძის რეკომენდაციით გაიკეთა მიხეილ სააკაშვილმა ჰოლანდიაში კუჭის რეზექცია, ანუ ბარიატრიული ქირურგია. სააკაშვილის თანაგუნდელები ადასტურებენ, რომ ბრალდებულმა კუჭის რეზექცია ნამდვილად გაიკეთა, თუმცა დიდი ხნით ადრე, ვიდრე საქართველოში დაბრუნდებოდა და ამას არანაირი კავშირი არ აქვს ბრალდებულის საქართველოში დაბრუნებასთან, მის „შიმშილობის“ აქციასთან და წონის კლებასთან.

ნიკოლოზ ყიფშიძე აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის რეაბილიტაცია საკმაო ხანი გაგრძელდება და გამოდის ინიციატივით, გაანთავისუფლონ, რომ ნორმალურად იმკურნალოს. შესაბამისად, ყიფშიძე რეაბილიტაციამდე პატიმრობის გადავადებას მოითხოვს.

„მკურნალობის პროცესი კარგად მიმდინარეობს, მაგრამ მე ვერ გაძლევთ გარანტიას, რომ მიშა სააკაშვილი ჯანმრთელი იქნება. მას სჭირდება ხანგრძლივი რეაბილიტაცია სხვადასხვა ორგანოების, თავის ტვინის, ღვიძლის. ჩემი აზრით, მკურნალობა ასეთ პირობებში, ეს იქნება გორის საავადმყოფო, ციხის საავადმყოფო და ა.შ. შეუძლებელია ასეთი ავადმყოფისთვის. მისი რეაბილიტაცია საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს. მე ვერ გეტყვით, რამდენი ხანი იქნება ეს - ერთი თვე, ორი, სამი, ოთხი თვე - მისი რეაბილიტაცია უნდა გაგრძელდეს საკმაო ხანი. ამიტომ, ჩემი გულწრფელი აზრია, როგორც ექიმის, შეიძლება კოლეგები არ დამეთანხმონ, შეიძლება საქართველოს მოსახლეობა არ დამეთანხმოს, მაგრამ მე რომ შემეძლოს გადაწყვეტილების მიღება, ასეთ ადამიანს მკურნალობის უფლებას მივცემდი ამ ციხეების გარეთ, რაც გულისხმობს თავისუფლად მკურნალობის შესაძლებლობას. არა ციხეებში, არა ბადრაგის თანხლებით და დასწრებით“, – აცხადებს **ნიკოლოზ ყიფშიძე.**

ყიფშიძეს ოპერატიულად უპასუხა სახალხო დამცველის მიერ შექმნილმა სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, ექიმმა **გიორგი პაპიაშვილმა,** რომელიც თვლის, რომ სააკაშვილის თავისუფალ მკურნალობასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ყიფშიძის ინიციატივის საფუძველი არ არსებობს. ომბუდსმენის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის წევრი აცხადებს, რომ გორის ჰოსპიტალში ის კვალიფიციური სამედიცინო გუნდის ხელშია.

„ჩვენი ჯგუფი შეიქმნა ერთადერთი მიზნით, რომ შეგვეფასებინა გლდანის მე-18 დაწესებულებაში მყოფი პაციენტის მდგომარეობა და რისკები იქ დარჩენის და შიმშილობის გაგრძელების შემთხვევაში. ჩვენმა გუნდმა ეს გააკეთა პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რის შედეგადაც მოხერხდა ის, რომ დღეს პაციენტი არის გორის ჰოსპიტალში კვალიფიციური სამედიცინო გუნდის ხელში. მას შეწყვეტილი აქვს შიმშილობა და მისი მდგომარეობა გაუმჯობესებულია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საფრთხეები ჯერ კიდევ არსებობს კვების აღდგენის პროცესში, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ იმ ექიმებს, ვინც მას ამჟამად მკურნალობენ, შესწევთ უნარი პაციენტის სრულყოფილი რეაბილიტაციის“, – აცხადებს **გიორგი პაპიაშვილი.**

ყიფშიძეს ტაქტიკას უწუნებს სულხან მოლაშვილის ძმა **თორნიკე მოლაშვილი,** რომელიც მიმართავს ექს-პრეზიდენტის პირად ექიმს, სააკაშვილს, ნევროლოგის და ფსიქიატრის დახმარება რომ სჭირდებოდა, ეს განცხადება ყიფშიძეს მანამ უნდა გაეკეთებინა, სანამ სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირი გახდებოდა.

„სააკაშვილს ფსიქიკური გადახრები დაბადებიდან აწუხებდა და ეს მის ექიმს უნდა ეთქვა მანამ, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა. ნამდვილად, ფსიქიკურად არის სამკურნალო! რაც შეეხება პატიმრობის გადავადებას – აიღეთ სულხან მოლაშვილის ფოტო დაკავებამდე და ფოტო დაკავებიდან თვენახევარში, რა დღეში იყო! პირადად თქვენ ხომ ზედმიწევნით იცით, რა უქნეს სულხანს, რა დღეში ჩააგდეს და როგორ ვეძებდით მას ღამის საათებში, არ გვეუბნებოდნენ სად ჰყავდათ გადაყვანილი და ბოლოს აღმოვაჩინეთ მე-7 დაწესებულების ციხის სარდაფში.

**ახლა, აიღეთ სულხანის დიაგნოზი, რა დაავადებაც დამართეს ციხეში და ავიღოთ სააკაშვილის მდგომარეობა, რაზე ვლაპარაკობთ, ხალხო! რა სასჯელის გადავადება! სააკაშვილი არის დამნაშავე, არაფრით არ განსხვავდება იმ პატიმრებისგან, რომლებიც სასჯელს იხდიან, ამ ლოგიკით მაშინ ყველა ის პატიმარი გაანთავისუფლონ, ვისაც კი რამე აწუხებს! თუ კრიმინალი სააკაშვილი უნდა გაანთავისუფლონ, მაშინ ყველა პატიმარი უნდა გაანთავისუფლონ. კანონი არ ცნობს განსხვავებულ პატიმარს. ამიტომ პატივი ვცეთ და დავიცვათ კანონი. დღეს რომ გამოდიან და ს

ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

2021 წლის 19 ნოემბერს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ეწვივნენ ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და პროგრამების კოორდინატორი განათლებისა და მეცნიერების დარგში ნინო (ნიკა) ყოჩიაშვილი. ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი საქართველოში ელჩის თანამდებობაზე 2018 წლიდან მუშაობს, როგორც ევროკავშირის უმაღლესი რანგის დიპლომატი, იგი კოორდინირებას უწევს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივ ურთიერთობებს და ევროკავშირის წარმომადგენლობის მუშაობას პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში.

სტუმრები მიიღო აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ ვიცე-პრეზიდენტ როინ მეტრეველთან და აკადემიკოს-მდივან რამაზ ხუროძესთან ერთად; შემდეგ მათ ინტერესით დაათვალიერეს აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი აკადემიასა და უცხოეთის სხვა ქვეყნებში გამოცემული ქართველ მეცნიერთა წიგნები. მოეწყო ელჩის შეხვედრა აკადემიკოსებთან, მათ შორის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებთან, რომელიც ონლაინ-პრეზენტაციით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, მან ვრცლად წარმოადგინა აკადემიის ისტორია მისი დაარსებიდან დღემდე, ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტების, საპატიო პრეზიდენტების, მისი წევრების, სამეცნიერო განყოფილებების, ჟურნალ „მოამბისა“ და მათი სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან თანამშრომლობის შესახებ.

ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, — **„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დღეს სასწაულზე ვარ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომიწვიეთ აკადემიაში; დიდია საქართველოში ევროკავშირის აქტივობები, განათლება და ძლიერი მეცნიერება ქვეყნის ძლიერი ეკონომიკისა და განვითარების საფუძველია; ჩემი მისიაა, უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს სამეცნიერო დაწესებულებებთან. ჩვენს სამომავლო გეგმებში შედის საქართველოში მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებისადმი ინტერესი და გვინდა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქართული მეცნიერების მობილობას ევროკავშირში; თქვენს ქვეყანას სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, რაც ძალიან დასაფასებელია. ევროკავშირსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის სამომავლო თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება“.**

ელჩს მიესალმნენ და ქვეყნის მიღწევებსა და შესაძლებლობებზე ესაუბრნენ აკადემიკოსები: **რამაზ ხუროძე, როინ მეტრეველი, რევაზ გაჩეჩილაძე, თამაზ შილაკაძე, გია ჯაფარიძე, რამაზ ხეცურიანი, ჯონი ხეცურიანი, გურამ ალექსიძე, ბიძინა კორახაშვილი, ვლადიმერ ციციშვილი, თინათინ სადუნიშვილი, დავით ლორთქიფანიძე, ინესა მერაბიშვილი** და სხვ.

შეხვედრაზე ასევე განხილული იყო სამომავლო პროგრამები და პერსპექტივები, რომლებსაც საქართველო ევროკავშირთან ერთად გეგმავს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ვისაც უნდა შემწეობა, იმუშაოს და მიიღოს ხელფასიც...

(მეორე გვერდიდან)

ინიციატივა ნამდვილად საინტერესო და მისასალმებელია, მაგრამ ჩნდება ერთი კითხვა, რომ თუ შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქე სამსახურზე უარს იტყვის, შეუწყდება თუ არა დახმარება? ამაზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი და **ლევან დავითაშვილიც** ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება:

„სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან მოქალაქეებს გარკვეული არჩევანის გაკეთების საშუალება ექნებათ, სხვადასხვა ტიპის სამუშაოს შორის. თუ ადამიანს შეუძლია მუშაობა, სამუშაო არსებობს და ის ამ სამუშაოზე უარს ამბობს, ეს მოდელის ნაწილი ვერანაირად იქნება. ამგვარი სისტემის არსებობა არსშივე არალოგიკურია. ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილება გავითვალისწინეთ, რამდენიმე მოდელი უკვე გვაქვს, თუმცა არ მინდა ყველა დეტალზე ახლა გესაუბროთ, ზუსტად ამისთვის იქმნება უწყებათშორისო კომისია“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა. იგი ირწმუნება, რომ ახალი სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველთა შემოსავლები არათუ შემცირდება, არამედ გაიზრდება კიდეც.

„რამდენი იქნება საშუალო ხელფასი ახლა ვერ გეტყვით. ერთი უკვე გითხარით, რომ შემოსავლები არ შემცირდება და გაიზრდება და ამაზე დეტალური ინფორმაცია პროექტის დამუშავების შემდეგ გვექნება“, — დასძინა ლევან დავითაშვილმა და ასევე აღნიშნა, რომ მთავრობას მომდევნო 2 წლის განმავლობაში შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველების უდიდესი ნაწილის დასაქმება სურს, მით უფრო, რომ სამუშაო ძალის დეფიციტია როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორშიც:



შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში როგორც სამუშაო ადგილების, ასევე პროფესიონალი კადრების ნაკლებობაა. ეს დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემაც** დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიაში უკვე კარგა ხანია მოქმედებს პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომელიც მოქალაქეების კვალიფიკაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

„ვხედავ, რომ ორი პრობლემა არსებობს. ბევრი კომპანია ეძებს თანამშრომლებს, მაგრამ კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობაა. არსებობს სამუშაო ადგილების დეფიციტიც. თბილისის მერია უსასყიდლოდ 5 000-მდე ადამიანის პროფესიულ გადამზადებას უზრუნველყოფს. პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ წარმატებით მიმდინარეობს. ზუსტად ვიცით ბიზნესსექტორი რა კვალიფიკაციის ადამიანებს ეძებს და ამ ნიშნით ვამზადებთ მოქალაქეებს.

აღსანიშნავია, რომ გადამზადების კურსების გავლის შემდე, ადამიანები დასაქმდნენ. ხალხს უნდა შევთავაზოთ სხვადასხვა პროგრამა, რაც დასაქმებაში დაეხმარებათ“, — განაცხადა თბილისის მერმა.

მისი აზრით, მოქალაქეებს უნდა შევთავაზოთ პროგრამები, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, დავეხმაროთ, ჰქონდეთ ხელფასი და იყვნენ დასაქმებულნი.

„შეიძლება, გაზარმაცებაში სახელმწიფოც იყოს დამნაშავე, რადგან ადამიანს უხდი სოციალური დახმარების თანხას და იმავდროულად ის შეშინებულია, რომ ოფიციალურად სადმე მუშაობა არ დაიწყოს, რადგან შეიძლება, სოციალურად დაუცველის სტატუსი ჩამოერთვას. ამიტომ ამ ადამიანებს შევთავაზოთ პროგრამები, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ, ხელფასი ჰქონდეთ და არანაირი პრობლემა არ შეექმნათ“, — დასძინა კალაძემ.

ყველაზე საინტერესო ახალ სამთავრობო პროგრამაში ისაა, რომ მისი მიზანი საბიუჯეტო ხარჯების შემცირება არაა, პირიქით, შეიძლება დამატებითი ხარჯების მოძიების საჭიროება დადგეს, რომელიც მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიიმართება.

„პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ შრომის და მუშაობის წახალისება მნიშვნელოვანია, რათა მეტი კეთილდღეობა მიიღონ ამ ოჯახებმა და არა ის, რომ სტაბილურობის შენარჩუნების გამო უფრთხოდნენ ამ შემოთავაზებებს, არამედ ჩაერთონ სამუშაო პროცესში. ჩვენი მიზანი არ არის საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიის გაკეთება, არ არის ეს ამოსავალი. დღის განმავლობაში ძალიან ბევრი კითხვა იყო და ჩვენ, ერთი მხრივ, ამ შემოსავალს ადამიანებს ვუნარჩუნებთ და ამავე დროს ვაჩენთ დამატებით შესაძლებლობას, რომ შემოსავალი სხვადასხვა სამუშაოს შესრულებით მიიღონ, ეს იქნება მოკლევადიანი, გრძელვადიანი თუ სეზონური სამუშაოები, მეტი შემოსავალი ჰქონდეთ ამ ოჯახებს და მეორე მხრივ, მიიღონ გარკვეული კვალიფიკაცია. მთავარი მიზანი საბიუჯეტო ხარჯების შემცირება არ არის, პირიქით, შეიძლება დამატებითი ხარჯებიც გავწიოთ, მაგრამ დამატებითი ღირებულებაც შევქმნათ ქვეყანაში“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ბექა დანელია



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ,
ᲨᲚᲔᲖᲕᲘᲒ-ᲰᲝᲚᲨᲢᲐᲘᲜᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
(ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ)

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ, „ᲐᲤᲡᲣᲐᲡ“ ᲔᲗᲜᲝᲡᲡ...

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

**ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲘᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲔᲑᲘ – ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲔᲚᲔᲑᲘ, ᲞᲝᲜᲢᲝᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ, �თᲣᲠᲥᲔᲑᲘ, ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲖᲔᲠᲔᲑᲘ (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ) ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲢᲝᲛᲔᲑᲘ. ᲔᲗᲜᲝᲡᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ „ᲐᲤᲡᲣᲐ“ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲛᲓᲐ. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲐᲤᲡᲣᲐ“ ᲞᲝᲜᲢᲝᲣᲠ-ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲣᲡᲣᲚᲝᲡ“. ᲐᲡᲝ „Ა“ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲮᲝᲚᲝ „ᲤᲡᲘᲐ“ – „ᲤᲡᲣᲐ“ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲣᲚᲡ, ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ „ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ“, „ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲛᲡ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲒᲐᲜ „ᲐᲙᲣᲯᲘᲮᲐ“. „ᲐᲙᲣ“ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲖᲦᲕᲐᲡ“, „ᲯᲘᲮᲐ“ – „ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲡ“. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲡᲝᲮᲣᲛᲘ“ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲛᲘᲡᲐᲐ: „ᲗᲔᲕᲖᲘ“ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ „ᲩᲮᲝᲛᲘ“.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ „ᲡᲝᲮᲣᲛᲘ“ XIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ. ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲐᲡ „ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲙᲣᲠᲘᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, �თᲣᲠᲥᲔᲑᲘ – „ᲡᲝᲮᲣᲛ-ᲙᲐᲚᲔᲡ“, ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲘ – „ᲑᲐᲒᲠᲐᲢ-ᲙᲐᲚᲔᲡ“, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ – „ᲪᲮᲣᲛᲡ“.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ „ᲐᲤᲡᲣᲐᲡ“ ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ XIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ „ᲐᲙᲣᲐ“ – ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔ�გᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ „ᲐᲙᲣᲯᲘᲮᲐ“.

ᲐᲠᲡᲔᲒᲝᲛᲡ



ᲑᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ᲐᲗᲐᲡᲝᲛᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ“ ᲔᲡ ᲫᲘᲠᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ „ᲐᲤᲡᲣᲐᲡ“ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ II ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲠᲑᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲘ. ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ (ᲡᲢᲠᲐᲑᲝᲜᲘ, ᲰᲔᲙᲐᲢᲔᲝᲡ ᲛᲘᲚᲔᲗᲔᲚᲘ, ᲡᲙᲘᲚᲐᲥᲡ ᲙᲐᲠᲘᲐᲜᲓᲔᲚᲘ, ᲡᲢᲠᲐᲑᲝᲜᲘ), ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲐᲑᲚᲝᲛᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲗᲜᲝᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ I-II ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲐ ᲚᲐᲖᲘᲙᲘᲡ („ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ“) ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ **ᲛᲪᲘᲠᲔ** ᲢᲝᲛᲔᲑᲘ – ᲐᲤᲡᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲐᲖᲒᲔᲑᲘ.

ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲝᲗᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲑᲔᲠᲔᲑᲘ (ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ) ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ (ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ. ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲞᲚᲘᲜᲘᲣᲡᲘᲡ, ᲐᲠᲘᲐᲜᲔ ᲤᲚᲐᲕᲘᲣᲡᲘᲡ, ᲯᲐᲜ ᲨᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲥᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲚᲐᲛᲖᲔᲠᲢᲘᲡ, ᲔᲕᲚᲘᲐ ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲪᲮᲣᲛᲔᲚᲘ ᲛᲥᲐᲓᲐ�გᲔᲑᲔᲚᲘ �პᲘᲔᲢᲠᲝ ᲒᲔᲠᲐᲚᲓᲘ 1330 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲡ, ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲡ. ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲘᲡ XV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲔᲚᲐᲡᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲗᲐᲕᲐᲕᲗᲐᲜ (ᲪᲮᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲘ) ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ „ᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲒᲠᲔᲚᲝ“, ᲮᲝᲚᲝ ᲥᲐᲚᲐᲥ �გᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲞᲝᲠᲢᲘ „ᲙᲐᲕᲝ ᲓᲔ ᲑᲣᲥᲡᲝ“.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ �თᲣᲠᲥᲘ �გᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ ᲔᲕᲚᲘᲐ ᲩᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲐᲤᲡᲣᲐᲡ“ ᲢᲝᲛᲘ „ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲛᲡ ᲧᲣᲠᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐ“ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ.

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ III (ᲑᲔᲓᲘᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲙᲐ)

ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ, ᲘᲡᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲔᲞᲝᲥᲔᲑᲨᲘ ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ) ᲕᲠᲪᲔᲚ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ.

XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲐᲤᲡᲣᲐᲡ ᲢᲝᲛᲔᲑᲘ (ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ XVII-XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲛᲗᲘᲐᲜ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ), ᲐᲑᲐᲖᲒᲔᲑᲘ (ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲣᲚᲐᲓᲘᲦᲔᲣᲠᲘ ᲢᲝᲛᲔᲑᲘ), ᲡᲮᲕᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲛᲗᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲚᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲐᲰᲘᲚᲘᲐ.

XVI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚ ᲢᲝᲛᲔᲑᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ „ᲐᲑᲐᲖᲐᲡ“, ᲠᲐᲪ ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲐᲓ „ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲐᲡ“ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲘᲐᲤᲘ ᲛᲣᲨᲐᲰᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ.

1783 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲝ �გᲔᲝᲠ�გᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲥᲔᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲐᲛᲝᲫᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲐᲓ ᲰᲧᲝᲤᲡ. ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲛ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲔᲬᲝᲓᲐ ᲔᲝᲜᲘᲛᲘ „ᲐᲤᲮᲐᲖᲘ“. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ 30-35 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲡ. ᲐᲠᲐᲓᲐ, „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲔᲙᲔᲓᲚᲐ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲠᲗᲝᲛᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲔᲮᲓᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ, ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲦᲝ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲠᲝᲛ „ᲐᲤᲮᲐᲖᲘ“ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲔᲗᲜᲝᲜᲘᲛᲘᲐ.

„ᲐᲤᲡᲣᲔᲑᲘᲡ“ (ᲔᲗᲜᲝᲜᲘᲛ „ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ) ᲔᲜᲐᲖᲔ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲫᲣᲫᲣᲛᲬᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲗᲐ – ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲘᲡ, ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲘᲡ, ᲡᲢᲐᲕᲠᲘᲓᲘᲡ, ᲙᲐᲛᲑᲐᲚᲘᲡ, ᲮᲝᲜᲗᲘᲥᲐᲠᲐᲡ (ᲑᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ) ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲛᲐᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „арыба““. ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓᲐᲪ, „ᲐᲤᲡᲣᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲜᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ ᲛᲔ�გᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲙᲘ ᲔᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲔᲜᲐᲐ, ᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲜᲐᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜᲕᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ IX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲝ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ �გᲐᲮᲓᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲐᲮᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. „ᲐᲤᲡᲣᲔᲑᲘ“ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ, ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲐᲗ.

ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝ�გᲘᲧᲕᲐᲜᲗ: ᲑᲝᲚᲝ ᲝᲪᲘ-ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲝᲗᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲕᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲒᲓᲜᲔᲜ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲨᲘ, ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘ

„აფხაზი“ ხალხი ეს გამოგონილი ხალხია, მეფის რუსეთის ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში ბოლშევიკების დამკვიდრებული. თქვენ, ქართველები რატომ იჩენთ ასეთ სასტიკ გულგრილობას საკუთარი ისტორიისადმი და წინაპართა ხსოვნისადმი? რატომ დაუშვით უცხო ხალხისთვის „აფსუეგისთვის“ აფხაზები ეწოდებინათ და კვლავაც ასე უწოდებთ, ხოლო ომით წართმეულ თქვენს ისტორიულ მიწა-წყალს, საიდანაც იარაღის ძალით გამოდევნეს ასიათასობით ქართველი, ათიათასობით კი დახოცეს და დახვრიტეს, – აფხაზეთს!

რატომ არ აღშფოთდებით, რატომ არ მოითხოვთ, რატომ არ ჩივით იმის გამო, რომ „აფსუას“ ხალხის ახალი დამწერლობა, რომელიც მხოლოდ 1954 წელს შექმნა ქართული გვარის კაცმა გულიამ (ქართულად „გული“ ნიშნავს „сердце“), აფხაზებს მიაწერეს? 1954 წელს გაჩნდა „აფსუეგის“ პირველი სკოლა და მას „აფხაზური“ უწოდეს. ბოლშევიკებმაც შეგნებულად ბევრი შეცდომა დაუშვეს ქართველი ხალხის ისტორიაში ეთნიკური კუთვნილების დაცვის საკითხში. ახლად მოვლენილ დამწერლობას უნდა ეწოდებოდეს „აფსუა“ და არავითარ შემთხვევაში „აფხაზური“. ეს ფაქტი ხომ კულტურული დრამაა და ფსიქოლოგიური დივერსიაა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აფხაზები, ანუ ქართველები თავიანთი დამწერლობით IV საუკუნიდან, ხოლო მეორე ვერსიით ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან სარგებლობენ.

რომაელებს, ბიზანტიელებს, არაბებს, სპარსელებს, თურქებს და სხვებს არაერთგზის დაუპყრიათ თქვენი მიწები, რათა დაემონებინათ ქართველი ხალხი, მაგრამ ახერხებდით თქვენი ტერიტორიების და კულტურის აღდგენას. ამიტომაც შეგარქვეს რამდენიმე ათასი წლის წინათ სპარსელებმა „გურჯები“, თქვენს ქვეყანას კი „გურჯისტანი“ უწოდეს, რაც სპარსულად „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს. ახალი ერის დაწყებიდანვე თქვენი ხალხი მსოფლიოში ცნობილია ენერგიული ცივილიზაციური წინსვლით, საქართველო მუდამ იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდიდარი კულტურის არსენალი.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ.

„დროებითი აფსუას“ დამოუკიდებლობისთვის 1992-1993 წლების საომარ მოქმედებებში დაახლოებით 3000 უცხოელი მოხალისე მონაწილეობდა. უცნობი თვითმფრინავები ბომბავდნენ, „გრადები“ ესროდნენ, ტანკები ანგრევდნენ ქალაქ სოხუმს და „აფხაზეთის“ სხვა დასახლებულ პუნქტებს, რომ ქართველები გამოედევნათ. 300 ათასზე მეტი მოქალაქე სიკვდილის შიშით იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური კერა, 40 ათასზე მეტი დახვრიტეს და დახოცეს.

ამასთან 247 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა ლეონის ორდენით (1992 წელს შემოიღეს განსაკუთ-

გარშემო მცხოვრების წმინდა **ქართული სახელები და გვარები**. ეს აქცია ეხმარებოდა მათ საკუთარი თავის ლეგალიზაციაში, ახალი წარმონაქმნის – ბოლშევიკური აფხაზეთის სოციალურ ლანდშაფტში თავიანთი ხალხის ინტეგრაციაში. თქვენ სრულიად მოურიდებლად მიითვისეთ ქართული გვარები, თუმცა თავს ისევ „აფსუეგს“ უწოდებთ.

მოგიყვანთ რამდენიმე ასეთ გვარს: **კაკალია** (მეგრული „კაკალი“), **ლომია** (ქართული „ლომი“), **მიმინოშვილი** (ქართული „მიმინო“), **თოფურია** (მეგრული „თოფური“, ქართულად ნიშნავს „თაფლს“), **ბედია** (ქართული „ბედი“), **ჯიქია** (ქართული „ჯიქი“), **ქობალია** (მეგრული „ქობალი“,ქართულად ნიშნავს „ბურს“), **ძიძარია** (ქართული „ძიძა“), **ცაავა** (ქართული „ცა“ და „ავა“), **მელია** (ქართული „მელა“), **ღვინჯილია** (მეგრული „ღვინანი ტყე“), **ზარანდია** (მეგრული „ზარი“ და „დია“, ქართულად „დიასახლისი“), **ჩემია** (ქართული „ჩემი“).

„აფსუეგის“ 630 გვარიდან 500-ზე მეტი ასეთი გვარია, მათი საკუთარი გვარები კი 100-ზე ნაკლებია. 500-ზე მეტ გვარს ქართული ძირი აქვს.

არაღიარებული რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებსაც კი ქართული გვარები აქვთ. და ამასთან ქართველებს მტრებს უწოდებთ! თქვენ გადამთიელების და ომის დახმარებით ისტორიული მიწებიდან, მამაპაპისეული სახლებიდან გამოყარეთ ძირძველი მოსახლეობა, ნაწილი კი დახვრიტეთ. მაგრამ აფხაზეთის მთელი მიწა-წყლის მრავალათასწლოვანმა ისტორიამ შემოინახა ქართული ტოპონიმები – ჰიდრონიმები, ოიკონიმები, ორონიმები.

„აფსნის“ მთავრობის ზოგიერთ წევრთა გვარები: **ანქვაბი** (ქართული „ქვაბი“), **ბუანია** („ბუა“ მეგრულად „მზეს“ ნიშნავს), **კვიცინია** (ქართული „კვიცი“), **ქაჯაია** (ქართული „ქაჯი“), **ჯინჯოლია** („ჯინჯი“ მეგრულად „ფესვს“ ნიშნავს), **ბებია** (ქართული „ბებია“), **გაბლია** (მეგრულად „გავლენას“ ნიშნავს), **გუნია** (მეგრულად ნიშნავს „ჰგავს“).

ᲐᲥᲜᲘᲔᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ

თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ და სამართლებრივ დიალოგებში საქართველო არ ავლენს ჯეროვან თანამიმდევრულობას, მკაცრად არ იცავს თავის ისტორიულ ტოპონიმურ, ჰიდრონიმურ, ეთნოტოპონიმურ საკუთარ სახელწოდებებს! კოლხეთი, ადრე ბერძნების მიერ კოლონიზებული, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთელ დაბლობს მოიცავს, ასევე მუდამ ქართველ ხალხთან იყო დაკავშირებული და არა „აფსუეგთან“. იმ ეპოქის არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, საპირისპიროს რომ ამტკიცებდეს.

ბერძნებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ერის – მეგრელების, სვანების, გურულების, იმერლების, აჭარლების, ლაზების და სხვათა ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ფაზისად (ბერძნულად „მარად ცოცხალს“ ნიშნავს) წოდებულ კოლხეთის პორტს, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში სახელი გადაერქვა და დღემდე ფოთი ეწოდება, რაც ბერძნულად ნიშნავს პონტოს – შავ ზღვას. XI საუკუნემდე საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ და ქართულ ენებზე იყო, შემდგომ – მხოლოდ ქართულ ენაზე. ღვთისმსახურება დღესაც ძველ ქართულ ენაზე წარმოებს. ყველა ქრისტიანთა წმინდა წერილი – ახალი აღთქმის 27 წიგნი დაწერილია როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე.

ვიკიპედიაში აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია ხშირად ფეიკია, მოგონილია. ფეიკების *ერთ-ერთი ცნობილი შემთხზველი გახლავთ რუსი კონსტანტინე ზატულინი და სხვა* „ისტორიკოსები და განმანათლებლები“*: ასლან ავიძბა, ერმილე აჯინჯალი, შალვა ინალ-იფა, გივი სმირი, ომარ მაანი, რომლებიც სამეცნიერო და ისტორიულ წიგნებში, ჟურნალებში, ინტერვიუებში ყალბ ფაქტებს ავრცელებენ. მათი განცხადებები ეს მოდვაა, ეშმაკისეული და თავხედური მტკნარი სიცრუეა. ხოლო ე. აჯინჯალის ციტატა „...აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა შესაძლოა იყო ქრისტეს დამადების პირველივე საუკუნეებში ჩამოყალიბდა...“ – ისტორიული მოსაზრება კი არა, სრული ნაყალბევია, ფეიკია. ეს შეიძლება სიმართლე იყოს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში და არა აფსნისთან (აფსუა, აფხაზეთი), ის კი აფსუას გულისხმობს.*

რატომ არ უპირისპირდებით თქვენი ეროვნული და საერთაშორისო იურიდიული ინსტანციებით ამ მავნებელ მთხზველებს, რომლებიც თავიანთი ყალბი ისტორიული ვერსიებით ხელს უწყობენ დანაშაულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ? რატომ არ მოაწყვეთ დამოუკიდებელი სამართლიანი გარჩევა და სასამართლო დევნა არ წამოიწყეთ ფაქტების დამახინჯების, ქართველი ხალხის მიმართ წინასწარ განზრახული პოლიტიკური ცილისწამებისა და გენოციდის ბრალდებით?

ბევრ აფხაზს (ნამდვილ ქართველს) ხოცავდნენ ერთადერთი მიზეზით: „თუ ქართველი ხარ, მაშ, მიიღე შუბლში ტყვია! “ ათიათასობით ადამიანი დახოცეს – მკვლელების ცნობიერებას სეპარატისტების მაამებელ ყალბ კომენტატორთა სიცრუე აყალიბებდა.

1992-1994 წლებში ქართველთა (აფხაზთა) გენოციდის საზარელი ფაქტი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის საკმარისად არ არის ცნობილი და სუსტადაა დეტალურად გაშუქებული. ეს თქვენი ბრალია, საქართველოს საჯარო პირნო! ეროვნული ისტორიის განმავლობაში უძველესი დროიდან მეზობელ ქვეყნებს -

რებული სიმამაცის, გმირობის, წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის). რამდენად უნდა ყოფილიყო გახრწნილი და დამახინჯებული ამ ფეიკური იდეების ავტორთა ცნობიერება, რომ ქართველი ხალხის მკვლელობისთვის ქართველივე მეფის ლეონის სახელობის ორდენი შემოეღოთ ჯილდოდ.

„აფსუეგის“ ტომის ისტორიაში არაფერი არ არის: არც

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲜᲐᲜᲑᲠᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲔᲚᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ.

კულტურა, არც ენა, არც ძეგლები – მხოლოდ ყურით მოთრეული ამბიციები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „აფსუები“ არ აღიარებდნენ ქრიატიანობას და შორს იყვნენ მართლმადიდებლებისთვის კანონიკური წმინდა წიგნებისგან, ასევე ქრიატიანული მოძღვრების სხვა წყაროებისგან. ადრე, საუკუნეთა განმავლობაში „დროებითი აფსუას“ მიწა-წყალზე მოქმედებდა 140-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი, რომლებიც გამოირჩეოდა საქართველოსთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილით, აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული დეკორითა და ფასადური პლასტიკით. ახლა მხოლოდ 15 ტაძარი და 2 მონასტერი მოქმედებს. ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას ეროვნული თავისებურება ახასიათებს. ყველა ტაძარი და ეკლესია ქართველი ოსტატების აგებულია და განმეორებულია ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მე და **საქართველოს** მრავალი სხვა გულშემატკივარი გთხოვთ დაიცვათ ევროპის უძველესი სახელმწიფო. VI-X საუკუნეების ევროპაში სულ ოთხი სახელმწიფო არსებობდა: გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერია (დედაქალაქი ახენი), ინგლისის სამეფო (დედაქალაქი ვინჩესტერი), რუსეთი (დედაქალაქი კიევი) და აფხაზეთი (დედაქალაქი ქუთაისი, მხოლოდ ქართული ეთნოსი, სახელმწიფო ენა და დამწერლობა -– ქართული, რელიგია – ქრიატიანობა (მართლმადიდებლობა).

ჩვენ ყველა, ვისაც გვიყვარს საქართველო, მისი ხალხი და კულტურა, თქვენგან აქტიურ მოქმედებას ველით!

თქვენ კი, „აფსუა“ ხალხო, თქვენი ჯიუტი და აშკარა მცდელობა, მიიწეროთ საქართველოს მაღალი ცივილიზაციური კულტურა, სხვადასხვა ფრაგმენტებშია გამოხატული. „აფსუას“ ეთნოსი სარგებლობს სხვისი მემკვიდრეობით და მონაპოვრებით, გვარებიც კი მიითვისეს, რადგან თავისი არ ჰქონდათ. თქვენს ტომს საკუთარი სახელები არ ჰქონია. ისტორიული ფესვების რეალობას ეტიმოლოგია ადასტურებს.

თანამედროვე „დროებითი აფსუას“ – ისტორიულად ქართული „აფხაზეთის“ – მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტმა მიისაკუთრა ნაცნობების, მეზობლების და ყველა

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ:

ტომი. ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა. მის წარმოქმნას წინ უძღოდა ადამიანთა გაერთიანება ოჯახებად, საგვარეულოებად და კლანებად.

ეროვნება. ეთნოსის შედარებით განვითარებული ფორმა, რომელმაც ჩაანაცვლა ტომი. ტომისგან განსხვავდება იმით, რომ მოიცავს ადამიანთა დიდ რაოდენობას; მისი წარმოქმნა უკავშირდება სახელმწიფოს წარმოქმნას, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს დიდ მიწა-წყალს; ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად უდევს არა მარტო ნათესაურ-გვაროვნული კავშირები, არამედ ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და კულტურული ნიშნებიც.

ერი. ეთნოსის ტიპი, ადამიანთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო ინსტიტუტებითა და ფასეულობებით. ერის ნიშნებია: ერთიანი ტერიტორია, ერთიანი ენა; საერთო ეკონომიკური სისტემა; ერთიანი ეროვნული ხასიათი, სოლიდარობის გრძნობა.

P. S. ამ მიმართვაში მოცემულ ჩემს მოსაზრებებში ყველაზე ნაკლებად ქართული წყაროები დავიმოწმე და არგუმენტაციისა და დასკვნებისთვის რომაული, ბერძნული, ევროპული, თურქული და სპარსული მასალები გამოვიყენე.

წყაროები:

- Barthold, W.; Minorsky, V. (2012-04-24). "Abkhāz". Encyclopaedia of Islam, 2nd Edition
- [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].
- Toumanoff, Cyril. Studies in Christian Caucasian history .— Washington: Georgetown University Press, 1963.
- S. H. Rapp, Studies In Medieval Georgian Historiography: Early Texts And Eurasian Contexts, Peeters Bvba (September 25, 2003) ISBN 90-429-1318-5 pages 144, 230-237, 481-484
- [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].
- Toumanoff C., Chronology of the Kings of Abasgia and other Problems // Le Muséon, 69 (1956), S. 73-90.
- [ინგლhttps://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%8F%D0%B7%D1%8B%D0%BA].
- (2013) The Abkhazians: A Handbook. Routledge. ISBN 978-1136802058.
- Georgiy I Mirsky, G I Mirskii, On Ruins of Empire: Ethnicity and Nationalism in the Former Soviet Union (Contributions in Political Science), Greenwood Press (January 30, 1997) ISBN 0-313-30044-5
- Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, с. 907-909.
- Табагуа И. Грузия в архивах и книгохранилищах Европы, III

ნაშრომები ავტორებისა:

- პლინიუსი
- არიანე ფლავიუსი
- ჟან შარდენი
- არქანჯელო ლამბერტი
- ევლია ჩელები

ნაციონალური ტერორი სახელმწიფოს წინააღმდეგ...

(მესამე გვერდიდან)

პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, რათა სააკაშვილის თემა აქტუალური და დესტაბილიზაციის მიმართულება უზრუნველყოფილი იყოს – მათ შორისაა უკრაინიდან კონკრეტული ადამიანების ვიზიტები. რაც შეეხება უკრაინის მოქალაქეების ქვეყანაში არშემოშვებას, ვოლსკი ამბობს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სააკაშვილთან კონტაქტში მყოფი უკრაინელი მებრძოლები საქართველოში ჩამოსვლას ცდილობენ.

„ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, რათა სააკაშვილის თემა აქტუალური და დესტაბილიზაციის იყოს მიმართული. მათ შორისაა უკრაინიდან კონკრეტული ადამიანების ვიზიტები. ჩამოვიდა ერთი ჟურნალისტი, რომელსაც, ვითომ, ინტერვიუს აღება უნდოდა და, ინტერვიუს გარეშე, უკან გააბრუნეს, მაგრამ უკრაინაში, თავის გადაცემაში, დეზინფორმაციის უშველებელი ტალღა გამოუშვა ეკრანებზე. იგივე იყო სახალხო დამცველის შემთხვევაშიც, რომელიც არანაირი სახალხო დამცველის ფუნქციის შესასრულებლად არ არის ჩამოსული.

ახლა კიდევ, ჩამოვიდა გუნდი, რომელშიც ერთ-ერთი საკმაოდ გამოცდილი სამხედროცაა. არ მგონია, რომ სამხედრო გადატრიალების განვითარების რესურსი ჰქონდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი არ არიან საქართველოს მეგობრები. სააკაშვილი არის ბერკეტი, რომელიც საკმაოდ მოხერხებულადაა გამოყენებული იმ ძალის მიერ, რომელსაც დესტაბილიზაცია სურს რეგიონშიც და მსოფლიოშიც“, – აღნიშნა **გია ვოლსკიმ.**

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ გაძლიერებულ კონტროლზე უნდა იქნეს აყვანილი აეროპორტები, საზღვაო პორტები, მათ შორის საავტომობილო საზღვარი და არა მარტო სუს-ი, არამედ შსს-ს სასაზღვრო პოლიცია უნდა მუშაობდეს ყურადღებით და პირველ რიგში, უკრაინის მიმართულებით, რადგან პირდაპირი მუქარა მოდის უკრაინიდან. ქართული ლეგიონის მეთაური, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ნონა მამულაშვილის ძმა, მამუკა მამულაშვილი დაიმუქრა, რომ საქართველოში თავის თანამებრძოლებს გამოაგზავნიდა. ასეც მოხდა, მაგრამ მისივე თანამებრძოლები დაადეპორტეს.

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, უკრაინელი მოქალაქეები უკან გააბრუნეს, მაგრამ საქართველოშია მამუკა მამულაშვილი, რომელიც ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობის სურვილს არ მალავს. ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ „ნაცმოძრაობასა“ და მასთან დაკავშირებულ პირებს, ძალისმიერი მეთოდებით, ხელისუფლების დამხობა სურთ.

„არც მამულაშვილი და არც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები არ მალავენ იმას, რომ უნდათ ძალისმიერი გზით ხელისუფლების შეცვლა. ფაქტობრივად, გეგმა გაცხადებული აქვთ“, – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, რეგიონალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს **მამუკა არეშიძეს** არ სჯერა უკრაინელი არაფორმალური მებრძოლების მოტივაციის, რომ ყაზბეგში მიდიოდნენ დასასვენებლად, მიუხედავად იმისა, რომ დაჯავშნილი ჰქონდათ სასტუმრო.

„ჩვენ ვიცით, როგორი ტენდენციებია ასეთ დროს მთელს მსოფლიოში, როცა ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა. გავიხსენოთ ასეთი ტიპის ჯგუფების ჩასვლა სხვადასხვა ქვეყანაში, იგივე უკრაინაში და კერძოდ, დონეცკში არჩევნების დროს 2 000 ქართველი რომ ჩავიდა „დასასვენებლად“. სხვა ქვეყნების მაგალითიც შეგვიძლია მოვიყვანოთ, ამიტომ არ მჯერა, რომ ისინი დასასვენებლად ჩამოვიდნენ.

ამასაც თავი დავანებოთ, ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სოზარ სუბარმა თქვა – გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან დაიძვრებიან ყოფილი ძალოვანები რევოლუციაში ჩასართავადო. პირველ რიგში იგულისხმებოდა ის ქართველები, რომლებიც 2012 წლის მერე სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ და პირველ რიგში – უკრაინაში. მაშინ ეს ყველაფერი სოზარმა დაუკავშირა 23 ნოემბერს, ნაციონალებისთვის საკრალურ დღეს, გიორგობას, როდესაც ქვეყანაში ვარდების რევოლუცია განხორციელდა. მე ვფიქრობ, რომ ეს სერიოზული ვერსიაა, მით უფრო, როდესაც გაუთავებელი საუბარი მიმდინარეობს იმაზე, რომ უნდა მოაწყონ რევოლუცია. სატელევიზიო ეკრანებიდან ისინი ამბობენ, რომ ეს იქნება მშვიდობიანი აქცები, მაგრამ განსხვავებულია მათი პოზიცია სოციალურ ქსელში, პირდაპირ საუბრობენ აჯანყებაზე და ძალისმიერი მეთოდით ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. ანუ, სამოქალაქო დაპირისპირების სამოქალაქო ომში გადაყვანაზე.

თუ ისევ თქვენს კითხვას დავუბრუნდებით, ჩემთვის ეს არის დამრტყმელი ძალა, რომელსაც 23 ნოემბრის აქციებში უნდა მიეღო მონაწილეობა დისტანციურად, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოჩნდებოდა და შეიძლება სხვა ფორმითაც. მით უმეტეს, რომ ჩემი ინფორმაციით, აქ არსებობს რამდენიმე კერძო დაცვის სამსახური, რომელშიც გაერთიანებული არიან ყოფილი ძალოვანები, ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან და მე ვიცი, რომ მათი გამოყენებაც იგეგმება. თუმცა, სააკაშვილის გორში გადაყვანის შემდეგ ამის აუცილებლობა ამ ეტაპზე მოხსნილად მეჩვენება“, – აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

მისი თქმით, ამ ისტორიაში ძალიან საინტერესოა ისიც, რომ უკრაინელი მებრძოლები ჩამოფრინდნენ მაშინ, როდესაც გადაწყდა სააკაშვილის გორში გადაყვანა.

„როგორც ჩანს, ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა თავისი სადაზვერვო სტრუქტურებისგან იცოდნენ, რაც მოხდება და ამიტომ იყო აშშ-ის ელჩის არადიპლომატიური განცხადება იმის თაობაზე, რომ თავი დაანებეთ ლაპარაკს და გადაიყვანეთ კერძო საავადმყოფოში. ასევე, ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ აშშ-ის მხრიდან ძალიან სერიოზული საუბარი შედგა როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციასთან.

ამიტომ მიიღო ხელისუფლებამ გადაწყვეტილება სააკაშვილის გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანაზე და ამიტომ იყო ოპოზიციამ თქვა, რომ არ მოაწყობენ აქციებს, ამიტომ იყო გვარამიას ღიმილისმომგვრელი პოზიციის ცვლილება, როდესაც ამბობდა ოსური სპეცრაზმი აპირებდა გორის ჰოსპიტალიდან სააკაშვილის გატაცებას, მერე უცებ დაავიწყდა ეს ამბავი და უკვე მისაღები გახდა ხელისუფლების გადაწყვეტილება. მე მაინც მგონია, რომ ძალისმიერ მეთოდით ხელისუფლების ცვლილება არის მათი გეგმა, თუმცა გარკვეული პაუზა აიღეს, ელოდებიან სააკაშვილის მდგომარეობის გამოსწორებას. მით უმეტეს, რომ ძალიან ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ისინი საქართველოში მაიდანს მოაწყობენ“, – აღნიშნა **მამუკა არეშიძემ.**

თამთა ძარჩავა

ამერიკის სამხედრო დახმარება – უკრაინას

უკრაინის მახლობლად რუსეთის სამხედრო გააქტიურების ფონზე, აშშ-ის ადმინისტრაცია უკრაინაში სამხედრო მრჩევლებისა და ახალი აღჭურვილობის, მათ შორის შეიარაღების გაგზავნის შესაძლებლობას განიხილავს.

წყაროების ინფორმაციით, სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი შეიძლება შეიცავდეს Javelin-ის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებსა და ნაღმტყორცნებს. ასევე განიხილება საჰაერო თავდაცვის სისტემების, მათ შორის „სტინგერის“ რაკეტების მიწოდება. გარდა ამისა, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ავღანეთში გასაგზავნი Mi-17-ის ვერტმფრენების უკრაინაში გაგზავნის ვარიანტს განიხილავს. Mi-17 რუსული ვერტმფრენია, რომელიც აშშ-მა თავდაპირველად ავღანელებისთვის შეიძინა. ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, პენტაგონი ახლა ფიქრობს, რა უყოს აღნიშნულ ვერტმფრენებს.

თუმცა, წყაროების ინფორმაციით, აშშ-ის ადმინისტრაციის სხვა წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ „სტინგერებისა“ და ვერტმფრენების გაგზავნა რუსეთმა სერიოზულ ესკალაციად შეიძლება აღიქვას. 19 ნოემბერს, უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, ალექსეი რეზნიკოვმა განაცხადა, რომ ვაშინგტონში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს სამხედრო დახმარების გაზრდის თხოვნით მიმართა.

ამერიკული სანქციები

აშშ-მა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტში ჩართულ ორ გემსა და ერთ იურიდიულ პირს სანქციები დაუწესა. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი.

სანქციები დაუწესდება გაზსადენის მშენებლობაში მონაწილე ორ გემსა და რუსეთთან დაკავშირებულ კომპანია „ტრანსადრიას“. შესაბამისი ანგარიში სახელმწიფო დეპარტამენტმა კონგრესს უკვე წარუდგინა.

„მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია კვლავ ეწინააღმდეგება გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს, მათ შორის ჩვენი სანქციებით, ჩვენ განვაგრძობთ გერმანიასთან და სხვა მოკავშირეებთან და პარტნიორებთან მუშაობას, რათა შევამციროთ ის რისკები, რომელსაც გაზსადენი უკრაინას და ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებს უქმნის და ვუპასუხოთ რუსეთის მავნე ქმედებებს, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბელარუსისგანაც იცავს თავს...

ბელარუსთან საზღვრის დაცვის გაძლიერების ფარგლებში, უკრაინამ სპეციალური სასაზღვრო ოპერაცია დაიწყო. სასაზღვრო სამსახურის ცნობით, ოპერაცია სახელწოდებით „პოლესიე“ საზღვრის უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, ასევე მიგრაციული კრიზისის თავიდან არიდებისთვის ხორციელდება.

ოპერაციაში, რომელსაც კოორდინაციას სასაზღვრო სამსახური უწევს ეროვნული გვარდია, ეროვნული პოლიცია და უკრაინის შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ. ოპერაციაში ჩართულია რეზერვისტთა დანაყოფებიც.

უკრაინის სასაზღვრო სამსახურის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვლადიმერ ნიკიფორენკოს განცხადებით, მიგრაციული კრიზისის გავრცელების საფრთხე და უკრაინაში მიგრანტების ნაკადების გადამისამართების ალბათობა მაღალი რჩება უკრაინა-ბელარუსის საზღვარზე და შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები ერთობლივ ზომებს იღებენ საზღვრის დაცვის სისტემის გასაძლიერებლად. სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, საზღვრის დაცვის პატრულირებისა და მონიტორინგისთვის აქტიურად იქნება გამოყენებული ავიაცია, უპილოტო საჰაერო სისტემები და ტექნიკური სამეთვალყურეო აღჭურვილობა. ამასთან, კონტროლირებად სასაზღვრო ტერიტორიების საავტომობილო გზებზე მოეწყობა საგუშაგოები, შემოწმდება სახელმწიფო საზღვრისკენ მიმავალი ავტომანქანები და ავტობუსები, ასევე დაიწყება სარკინგზო სადგურებში პატრულირება. გარდა ამისა, სასაზღვრო ზონის დასახლებებში გატარდება პრევენციული ღონისძიებები.

„ბატკა“ დესტაბილიზაციას აძლიერებს

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებზე ათასობით მიგრანტი არა საიმიგრაციო კრიზისი, არამედ ბელარუსის რეჟიმის მცდელობაა, ევროკავშირის დესტაბილიზაცია მოახდინოს. ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ევროკავშირი სოლიდარობას უცხადებს პოლონეთს, ლიეტუვასა და ლატვიას.

პოლონეთის სასაზღვრო სამსახურის განცხადებით, ბელარუსის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, არალეგალი მიგრანტები კვლავ ცდილობენ საზღვრის გადაკვეთას. 8 ნოემბრიდან რამდენიმე ათასი მიგრანტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან პოლონეთისა და ბელარუსის საზღვარზე იმყოფება. რამდენჯერმე მათ საზღვრის გადაკვეთა სცადეს. პოლონეთი და ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფოში მიაჩნიათ, რომ მიგრანტებს ბელარუსის მთავრობა აკონტროლებს.

ვულოცავთ!

ანზორ ჩოგოვაძე

დაბადებიდან 82 წელი შეუსრულდა საქართველოს დამსახურებულ მშენებელს ანზორ ჩოგოვაძეს. 1961 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამთო საწარმოთა მშენებლობის სპეციალობით. ამავე წლიდან ოცი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №7 სამშენებლო ტრესტ „საქშახტმშენის“ სისტემაში. გაიარა ყველა თანამდებობრივი საფეხური მშენებელი ოსტატიდან ტრესტის მმართველის მოადგილემდე. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. იყო საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „საქბურღგეოთერმიის“ უფროსის მოადგილე, უნივერსიტეტ „საქართველოს“ პრორექტორი მშენებლობის დარგში. სამშენებლო ფირმების „თბილისი – 16“, „ბი-ქეი გრუპის“ და ჰოლდინგ „საქართველოს“ დირექტორი. კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მშენებლობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრაზე. ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. არის ფაზისის სამეცნიერო-საერო აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი. არის არაერთი სამეცნირო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მრავალწლიანი წარმატებული პროფესიული შრომითი და პედაგოგიური საქმიანობისა და დამსახურებისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები და საუწყებო სიგელები. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება.

ვულოცავთ ბატონ ანზორს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

ნოდარ მეძმარიაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, დავით დოღონაძე, დავით გურგენიძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, როლანდ მიქაუტაძე.

კოდუების მონაგარი

დღეს, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ საერთაშორისო სპორტულ მოვლენებს, რატომღაც მეორე პლანზეა გადაწეული ქართველ ათლეტთა, მათ შორის – კარატისტთა ოჯახური დინასტიები, კლუბები და ცენტრები, აგრეთვე ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ რეგულარულად ტარდება აღნიშნული პროფილის ღონისძიებები თუ ფესტივალები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ამ სახეობის პოპულარიზაციას, ისე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

სამაგალითოდ კოდუების ოჯახის დასახელებაც კმარა, რომლის უხუცესმა წევრმა – მოკრივე **კონსტანტინე კოდუამ** სპორტი მთელ შთამომავლობას შეაყვარა.

უნიკალური ფენომენის ერთგულია ოჯახის უფროსი – საქართველოს კარატე დო შიტო რიუს ფედერაციის პრეზიდენტი და შავი ქამრის მფლობელი **ჯამბულ კოდუა,** რომელსაც 2019 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

კვიცი გვარზე ხტისო, ხომ გსმენიათ, ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ მომავალი თაობაც უფროსთა გაკვალულ ბილიკს მიუყვება და კარატისტები არიან, თანაც – შავი ქამრის მფლობელები.

შვილები

ლაშა კოდუა – ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორი და 2015 წელს იტალიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი; **დავით კოდუა** – 1996 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (მექსიკა) ორგზისა და 1997 წლის ამერიკის (მაიამი) საერთაშორისო ტურნირის ასევე ორგზის პრიზიორი. 1997-1998 წლებში გოგონათა შორის ქვეყნის ჩემპიონატების რამდენიმეგზის პრიზიორი გახდა მისი მეუღლეც – შავი ქამრის მფლობელი ლეილა.

შვილიშვილები

ლუკა – შავი ქამრის მფლობელი, საქართველოს ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი; **მიხეილი** – შავი ქამრის მფლობელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

დავძენთ, რომ კარატეში ვარჯიშობენ **მარიამი** და პატარა **მართაც,** ხოლო კოდუების სპორტულ ოჯახს არაერთი ჯანსაღი თაობა აღუზრდია, რომლებსაც შემდეგ ჩვენი სამშობლო მრავალჯერ უსახელებიათ საერთაშორისო სარბიელზე.

ვაჟა დანელია

რესტავრირებული სახარება – მშობლიურ ლახამულაში

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულას დაუბრუნდა რესტავრირებული მე-12 საუკუნის ხელნაწერი სახარება – ლახმულდის ოთხთავი.

როგორც კულტურის სამინისტროის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არის აღნიშნული, სახარების სოფელ ლახამულის ხიდის წმინდა გიორგის ტაძარში მიბრძანებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე **სოზარ სუბარი,** საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ბუბა ლომუაშვილი,** მესტიის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი **ვიქტორ ჯაფარიძე,** მესტიის მუნიციპალიტეტის მერი **კაპიტონ ჟორჟოლიანი,** სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში **გიორგი გუგუჩია,** მისი მოადგილე **ნინო ვიბლიანი,** იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის ხელმძღვანელი **თეონა იაშვილი,** ეროვნული არქივის რესტავრაციის განყოფილების უფროსი **თამილა აფაქიძე,** სვანეთის თვალსაჩინო წარმომადგენლები სხვადასხვა სოფლიდან და ადგილობრივი მოსახლეობა.

თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა სოზარ სუბარს, ვიქტორ ჯაფარიძესა და კაპიტონ ჟორჟოლიანს, რომელთა უშუალო მონაწილეობით გაიმართა 2019-2020 წლებში მოლაპარაკებები ადგილობრივ თემთან და მიღწეულ იქნა წარმატება. სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგად 2020 წლის მაისიდან ლახამულის ოთხთავს 18 თვის განმავლობაში რესტავრაცია უტარდებოდა საქართველოს ეროვნულ არქივში.

„ჩვენ დღეს ლახამულიდან ვულოცავთ ყველას გიორგობის დღესასწაულს. დღეს სახელმწიფო აბრუნებს ლახამულის თემში საუკუნოვან სახარებას, რომელსაც ეს ხეობა საუკუნეების მანძილზე არ დაუტოვებია და სწორედ აქაურების ძალისხმევით იქნა შემონახული, თუმცა მას სჭირდებოდა რესტავრაცია. ათეული წლების მანძილზე არსებობდა დიდი უნდობლობა თემსა და სახელმწიფოს სხვადასხვა პოლიტიკურ ხელისუფლებებს შორის და ეს უნდობლობა დაიძლია 2020 წლის მაისში, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ შევძელით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და დეპუტაციის მხარდაჭერითა და ჩართულობით, ლახამულის თემთან ხელი მოგვეწერა აქტისათვის. ჩვენ მათ დავპირდით, რომ 18 თვის განმავლობაში ოთხთავს რესტავრაცია ჩაუტარდებოდა ეროვნულ არქივში და შემდეგ მას დავაბრუნებდით ხეობაში. დღეს სახარება ჩამობრძანდა ლახამულაში რესტავრირებული სახით და წმინდა გიორგის ეკლესიაში კვლავ დაიდო ბინა. დიდი მადლობა ნდობისთვის ყველას – აქაურ მაცხოვრებლებს, უხუცესებს. აღსანიშნავია, რომ დღეს ჩვენ შევიტყვეთ, რომ ლახამულის თემის მაგალითს აპირებენ მისდიონ სხვა სვანურმა სოფლებმაც და არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი სოფლის ტაძარში დასვენებულმა მე-11 საუკუნის სახარებამაც გაიაროს ეროვნულ არქივში რესტავრაცია და შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს სვანეთს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

როგორც ტაძარში სახარების მიბრძანებისას აღინიშნა, რესტავრირდა სახარების ეტრატის ფურცლები, რომლებზეც დატანილია სხვადასხვა შინაარსის 22 მინაწერი. ფურცლები დარბილდა, მათ მოშორდა მიწის ნაწილაკები და სანთლის ნაღვენთები, აიკინძა ძველი წესით და მოთავსდა ტყავის ყდაში. ამასთან, რესტავრაციისას სახარების ძველი ჭედური ყდის ქვეშ აღმოჩნდა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც სახარებასთან და ძველ ჭედურ ყდასთან ერთად დაბრუნდა ლახამულაში. ლახამულის ოთხთავი უმნიშვნელოვანესი და უძველესი წერილობითი ძეგლია, რომელიც მე-12 საუკუნით თარიღდება. ხელნაწერს ახლავს მე-15 და მე-18 საუკუნეებით დათარიღებული 22-მდე სხვადასხვა შინაარსის მინაწერი, რომლებიც ნუსხური და მხედრული დამწერლობითაა შესრულებული. მინაწერები ასახავენ ლახამულის ხევის სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და რელიგიურ ცხოვრებას, ასევე ცნობებს გვაწვდიან აფაქიძეთა ფეოდალური სახლის შესახებ.

ესეც მეხუთე!

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2021 წლის V ნომერი.

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **მიხო მოსულიშვილის** საგავშვო პიესა „ოფოფების თეატრი“ (დასაწყისი); **ალა დათუკიშვილის, ნინო არსენაშვილის, გივი ჩიღვინაძის, მურთაზ ნაკუდაშვილის, მაია დიაკონიძის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), **ნინო ძამუკაშვილის, გიორგი შარვაშიძის პროზაული ნაწარმოებები.**

„თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობით **დინო ბუცატის** მოთხრობას „ამბავი ერთი მძღოლისა“. თარგმნა **მაია ტურაბელიძემ.**

რუბრიკით „რუსთველოლოგია“ ქვეყნდება **რამაზ მეფარიშვილის** „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ესთეტიკური კონცეფცია“.



„კრიტიკის“ რუბრიკაში იბეჭდება **ნინო გიორგაძის** „ძველი – ახალი რაკურსით ანუ გმირთა იდენტობის საკითხი დროში“, **ნინო დარბაისელის „როგორ** გავხდეთ გენიალური ფეისბუქ-პოეტი უმოკლეს დროში“, **თინათინ თუშაბრამიშვილის** „დამხატე ლექსად“.

რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ: **ნელი ცქიტიშვილის** „ილია – ქართული ჟურნალისტიკის მამამთავარი“, **ნანა რჩეულიშვილის** „ვაჟა-ფშაველას ლირიკული „აღსარებანი“. ჟურნალში დაბეჭდილია მხატვარ **ვანო გოცირიძის** ფერადი და შავთეთრი ნახატები.

◎ ტრიუმფი

სეზონის გვირგვინი

თუ აქამდე პიზას საქვეყნოდ ცნობილი დახრილი კოშკის გამო ვცემდით პატივს, ამიერიდან ეს იტალიური ქალაქი სპორტის ქართველ მოყვარულთათვის თანამემამულეთა მიღწევებითაც დამშვენდა.

საუბარია ეტლით მოფარიკავე ქალთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში მოპოვებულ 7 მედალზე, საიდანაც 2 „ოქროა“, 1 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ირმა ხეცურიანის** შესრულებული დუბლი, რომელიც ხმლითაც და რაპირითაც საუკეთესო გახლდათ, თანაც პირველ დისციპლინაში სულაც ქართული ფინალი ვიხილეთ.

„ტოკიოს პარაოლიმპიურ თამაშებზე წარუმატებლობის შემდეგ ახალი ირმა ხეცურიანი დაიბადაო“ — განაცხადა ბედნიერმა ტრიუმფატორმა.

დავძენთ, რომ ჩვენმა ტრიომ მესამე ადგილი დაიკავა გუნდურ ტურნირში.

„ვერცხლი“ — გვანცა ზადიშვილი;

„ბრინჯაო“ — ნინა თიბილაშვილი (3).



◎ ბრძენთა თამაში

ვერცხლიც ბრჭყვიალებს

7 გამარჯვება, 1 ყაიმი, 1 დამარცხება და ვადამდე დამსახურებული „ვერცხლი“ — ასეთი წარმატებით დაასრულა სლოვენიის ქალაქ ჩატეჟში გამართული ევროპის 23-ე გუნდური ჩემპიონატი საქართველოს ქალთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მწვრთნელი ელიზბარ უბილავა).

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა კონტინენტურ ფორუმებზე მეექვსედ დაიკავა მეორე ადგილი, რასაც ერთი ჩემპიონობა და ორი ბრინჯაოს პრიზიორობა ემატება.

მან მხოლოდ მომავალ ტრიუმფატორ რუსეთთან წააგო შეხვედრა, საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კი აზერბაიჯანის ნაკრები ავიდა. რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, მისი პოდიუმი ასეთია: უკრაინა, საფრანგეთი, პოლონეთი, ხოლო საქართველო მეთერთმეტეა.

◎ ბოლო აკორდი

ზვერევიც, მუგურუზაც...

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ გერმანელმა ალექსანდრ ზვერევმა პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა წლის შემაჯამებელი ტურნირი კარიერაში მეორედ მოიგო, ამჯერად ტურინში და ნახევარფინალში, იაპონიის მსგავსად კვლავ ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა, ხოლო ფინალში — დანიილ მედვედევი.

სხვათა შორის, მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ნომერმა 2018 წლის სატიტულო ბრძოლაშიც სერბ ვირტუოზს სძლია, მათი შეხვედრების საერთო ბალანსი კი 7:4 გახდა „ნოლეს“ სასარგებლოდ, რომელმაც აპენინებზე 15 ეისი ჩააწოდა, ხოლო მისმა მეტოქემ — 14.

რაც შეეხება რუს მოწინააღმდეგეს, ზვერევმა რევანში აიღო ჯგუფურ რაუნდში დამარცხებისთვის და მასთან კარიერული ანგარიში გაათანაბრა — 6:6. ქალთა ანალოგიური ტურნირი მექსიკურ გვადალახარაში პირველმა ესპანელმა — **გარბინე მუგურუზამ** მოიგო ფინალში ესტონელი ანიტა კონტევეიტის ძლევით.

◎ ფორმულა 1

რვა - მერვემდე

ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე უკიდურესად დაიძაბა ვითარება ფორმულა 1-ის სატურნირო ცხრილში.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შვიდი ტიტულის მფლობელმა ინგლისელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** კარიერაში პირველად მოიგო ლოსაილის ტრასაზე გამართული ყატარის გრან პრი და ჩამორჩენა ნიდერლანდელ ლიდერ მაქს ფერსტაპენთან 8 ქულამდე შეამცირა. სხვათა შორის, ბრიტანელისთვის აღნიშნული წარმატება სულ 102-ე, სეზონში კი მეშვიდეა, ხოლო მესამეადგილოსან ესპანელ ვეტერან ფერნანდო ალონსოსთვის 98-ე და 2014 წლის შემდეგ პირველი პოდიუმია. კონსტრუქტორთა დავაში „მერსედესი“ 5 ქულით უსწრებს „რედ ბულს“, ბოლოსწინა რბოლას კი 5 დეკემბერს საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდას ახალი ავტოდრომი უმასპინძლებს.

◎ ოკეანის გაღმა

რაც ალალია, ალალია...



დირკ ნოვიცკი მეორე გერმანელია დეტლეფ შრემპფის შემდეგ, ვინც ოკეანის გაღმა ეპოქა შექმნა და პირველმა მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონის „ოქროს ბეჭედი“.

21-წლიანი ტეხასური კარიერის გვირგვინად 2011 წლის სეზონი იქცა, რომელიც „დალას მავერიქსის“ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტულით დაგვირგვინდა, ასე რომ, სავსებით ლოგიკურია კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილება — ამ გუნდის საშინაო სარბიელის ჭერზე ლეგენდარული 41-ის მაისური დაიკიდოს და მომავალში აღნიშნული ნომრით აღარავინ ითამაშოს, თვით ცერემონია კი 5 იანვარს „გოლდენ სტეიტთან“ რეგულარული სეზონის მატჩის შესვენებაზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ უნივერსალი „დალასის“ რეკორდსმენია მატჩების (1522), ქულების (31560), მოხსნებისა (11489) და ჩაგდებული სამქულიანების (1982) რაოდენობით.

◎ 64

რჩეული ამოცანები და ეტიუდები





ჭადრაკში გამოხატული ულმობელი სიმართლე თვალებს უბნელებს პირმოთნეებს.

ემანუილ ლასკერი

რაინდ მინდაძე (1939-1994)

ემანუილ ლასკერი (1868-1941)

ემანუილ ლასკერი — მსოფლიოს მეორე ჩემპიონი. 1894 წელს სატიტულო მატჩში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი (12:7), ხოლო 1921 წელს გვირგვინი ხოსე რაულ კაპაბლანკასთან ბრძოლაში დათმო (9:15). მან უმაღლესი წოდება ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მთელი 27 წელი ატარა(!). იყო ფილოსოფოსი და მათემატიკის დოქტორი.

„ჭადრაკის განვითარება ულასკეროდ წარმოუდგენელია“ — ამბობდა **ალექსანდრ ალიოხინი.**

აღსანიშნავია, რომ 1936 წელს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ლასკერს ქართული ჭადრაკის მესაძირკვლე, საერთაშორისო ოსტატი **ვიქტორ გოგლიძე** შეხვდა და აშკარად საყაიმო პოზიციაში დრამატული პარტია მოულოდნელად წააგო. მან ხელი შეახო არასასრუველ ეტლს, მრისხანე მეტოქემ კი გაუთვალისწინებელი „საჩუქრის“ გამო მხრები აიჩეჩა. სამწუხაროდ, ასეთია ბრძენთა თამაშის ულმობელი კანონი — შეეხე ფიგურას, უნდა ითამაშო! საგულისხმოა, რომ დიდი მაესტროს დატოვებული ბრძნული დიდაქტიკური რჩევები წიგნადაც არის გამოცემული და ერთ-ერთში ვკითხულობთ: **„საჭადრაკო დაფაზე არ არის ადგილი სიცრუისა და თვალთმაქცობისთვის. საჭადრაკო კომბინაციის სილამაზე ზუსტად იმაშია, რომ იგი მუდამ მართალია“.**

სწორედ ამის დასტურია ქართველ მოჭადრაკეთა, მათ შორის **რაინდ მინდაძის** საკომპოზიციო შემოქმედება.

მოამზადა
თამაზ შენგელია

№ 65. "ტუვინსკაია პრავდა" 1959
I პრიზი



№ 66. "პროგლემ" 1971



№ 67. ოდესის ფესტივალი 1982
საქ. შეფასება



№ 65 1.ᲑH4 [Δ 2.ᲑF6] 1...Ꙗ3d4 2.ᲑF6; 1...Ꙗd4 2.d3; 1...Ꙗc3 2.d3
№ 66 1.Ꙗf3 [Δ 2.Ꙗe5] 1...Ꙗ3d6 2.Ꙗe5; 1...e6 2.Ꙗc4 № 67 1.Ꙗc5

ᲐᲛᲝᲯᲐᲓᲔ

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე რუსეთში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჟღერდა. ეს კლასიკურ წოლჭიმში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების ლიდერის დავით გაბელაიას პატივსაცემად მოხდა, რომელმაც თავის უმდიდრეს კოლექციას კიდევ ერთი „ოქრო“ შემატა.

სულ ურალის მთავარ ქალაქ ეკატერინბურგში ექვსმა „ჯვაროსანმა“ იასპარეზა და მათგან ხუთმა ჩემპიონობა მოიპოვა, რომელთა შორისაა ვეტერანთა ტურნირში გამარჯვებული **ელგუჯა კვიკვინია.**

* * *

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. მეხუთე ტური. „ვილიარეალი“ — „მანჩესტერი“ 0:2, „იანგ ბოიზი“ — „ატალანტა“ 3:3, კიევის „დინამო“ — „ბაიერნი“ 1:2, „ბარსელონა“ — „ბენფიკა“ 0:0, „ლილი“ — „ზალცბურგი“ 1:0, „სევილია“ — „ვოლფსბურგი“ 2:0, „მალმიო“ — „ზენიტი“ 1:1, „ჩელსი“ — „იუვენტუსი“ 4:0.

* * *

დღეს დიეგო მარადონას გარდაცვალებიდან ერთი წელი შესრულდა. თითქოს ამ თარიღს დაამთხვიესო, არგენტინელმა ჟურნალისტებმა გაასაჯაროვეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თურმე, ფეხბურთის ღმერთის გული ნორმალურთან შედარებით 200 გრამით მეტს იწონიდა და, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ კილოს შეადგენდა, თანაც იგი დაღუპულისთვის გამოსაკვლევად დაკრძალვამდე ამოუკვეთავთ და დღემდე ინახება ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში.

ტრაგიკულად დაიღუპა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მფლობელი

ილია კოკაია

ცნობილ ბიზნესმენს სტეფანწმინდის რაიონში დედა ენის მწვერვალის დალაშქვრისას ფეხი დაუცდა, თავი ქვას დაარტყა და ადგილზევე გარდაიცვალა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და ჩვენი გაზეთის რედაქცია თანავუგრძნობთ მის ოჯახს.

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი
განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: P152441

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: GE-GITA-231211-CS-QCBS
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: 2,500 სპეციალისტის ონლაინ გადამზადება ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (ICT)
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 18 თვე
შერჩევის მეთოდი: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა
შეფასების ვალუტა: ლარი

მოკლე სიაში შერჩეული კონსულტანტები:

1. ერთობლივი საწარმო ISSP Georgia LLC (Lead member) (საქართველო) and IT Distribution LLC (უკრაინა) and Information Systems Security Partners LLC (უკრაინა);
2. ერთობლივი საწარმო Evoluxer Srl (Lead member) (ესპანეთი) and Bildgeadam Technologies A.S. (თურქეთი);
3. Beetroot Academy AB (Sვედეთი);
4. ერთობლივი საწარმო New Horizons Bulgaria EOOD (Lead member) (ბულგარეთი), Space Cad OOD (ბულგარეთი) in sub-consultancy with Tbilisi School of Communications Ltd (საქართველო);
5. ერთობლივი საწარმო IT-Knowledge LLC (Lead member) (saqarTvelo) and UGT LLC (saqarTvelo) and SC Bittnet Systems SA (რუმინეთი);
6. ROI Training Inc. (აშშ)

წინადადება წარმოადგინეს:

1. ერთობლივი საწარმო New Horizons Bulgaria EOOD (Lead member) (ბულგარეთი), Space Cad OOD (ბულგარეთი) in sub-consultancy with Tbilisi School of Communications Ltd (საქართველო);
2. ერთობლივი საწარმო IT-Knowledge LLC (Lead member) (საქართველო) and UGT LLC (საქართველო) and SC Bittnet Systems SA (რუმინეთი).

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: ერთობლივი საწარმო New Horizons Bulgaria EOOD (Lead member) (ბულგარეთი), Space Cad OOD (ბულგარეთი) in sub-consultancy with Tbilisi School of Communications Ltd (საქართველო);
ტექნიკური ქულა: 90.04
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,057,731.70 ევრო და 270,802.60 აშშ დოლარი
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 4,693,959.85 ლარი
ერთიანი შეფასების ქულა: 91.11
საბოლოო ადგილი: I

დასახელება: ერთობლივი საწარმო IT-Knowledge LLC (Lead member) (საქართველო) and UGT LLC (საქართველო) and SC Bittnet Systems SA (რუმინეთი);
ტექნიკური ქულა: 84.73
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,441,075.10 აშშ დოლარი
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 4,477,420.34 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 87.78
საბოლოო ადგილი: II

გამარჯვებული კომპანია(ები):

დასახელება: ერთობლივი საწარმო New Horizons Bulgaria EOOD (Lead member) (ბულგარეთი), Space Cad OOD (ბულგარეთი) in sub-consultancy with Tbilisi School of Communications Ltd (საქართველო);
ტექნიკური ქულა: 90.04
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,057,731.70 ევრო და 270,802.60 აშშ დოლარი
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 4,693,959.85 ლარი
ერთიანი შეფასების ქულა: 91.11
საბოლოო ადგილი: I
საკონტრაქტო ღირებულება: 1,248.123.41 ევრო და 319,547.07 აშშ დოლარი (არაპირდაპირი ადგილობრივი გადასახადების ჩათვლით)

უარყოფილი წინადადება(ები): არცერთი

ამაყი ვარ, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი ყოველდღიური მუშაობა თბილისს დაეტყო

„მინდა, გამოვყო განახლებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აღდგენილი თუ რეაბილიტირებული პარკები და სკვერები, გამწვანებული ქუჩები და გზაგამყოფები, ახალი საბავშვო ბაღები, რეაბილიტირებული ხიდები და გვირაბები, რესტავრირებული ისტორიული შენობები, ორბელიანისა და გუდიაშვილის გაცოცხლებული მოედნები, განახლებული, სრულიად რეაბილიტირებული გამზირები და ქუჩები, მოწესრიგებული კომუნიკაციები და ასფალტის საფარი 1 000-მდე ქუჩაზე, მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობები; სპორტული მოედნები, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია, სოციალური და ჯანდაცვის ახალი პროგრამები. ასევე, სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა, დაახლოებით, 7 000-მდე სოციალურად დაუცველ ახალგაზრდას ვეხმარებით განათლების მიღებაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია წლობით დაუკანონებელი ქონების რეგისტრაციის საკითხი, გაჩერებული, უიმედო მშენებლობებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება. ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებმაც 10 000-მდე ოჯახს ეს ბედნიერება და სიხარული მივანიჭეთ. მაგალითად, „ცენტრ პოინტის", „სვეტის", „ოლიმპიური ვარსკვლავის", „აქსისის" და ა.შ. მიერ დაზარალებულებს. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაკეთდა. ეს თბილისის მუნიციპალიტეტის თითოეული თანამშრომლის შრომის და ძალისხმევის დამსახურებაა", — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ პანდემია ბევრი დაგეგმილი პროექტის შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა.

„ბოლო ოთხი წელი იყო არა მხოლოდ განვითარებისა და მშენებლობის, არამედ დიდი გამოწვევების პერიოდი. კორონავირუსმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. მან მძიმე დარტყმა მოგვაყენა — ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ასევე, დაზარალდა ყველა სექტორი. რასაკვირველია, ასეთ დროს მთავარი პრიორიტეტი უმწეო მდგომარეობაში მყოფი, ყველაზე დაუცველი ოჯახების დახმარება იყო და არის. ჩვენ ვნახეთ, როგორ გაერთიანდა კიდევ ერთხელ თბილისი ამ გამოწვევის დროს, როგორი სოლიდარულები ვიყავით ერთმანეთის მიმართ. პანდემიის ორი წელი გახდა შემაფერხებელი ბევრი პროექტის, რაც ასე სჭირდება თბილისს. თუმცა, გაძლევთ პირობას, რომ აუცილებლად შევასრულებთ ყველა დაპირებას და გამოვნახავთ ყველა რესურსს, რათა დაწყებული თუ ჩაფიქრებული პროექტები ბოლომდე მივიყვანოთ", — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მოსახლეობას მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ჩართულობისკენ მოუწოდა.

ბინების განაწილება კენჭისყრით

დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ზუგდიდში, ახალაშენებულ კორპუსებში იძულებით გადაადგილებულ 600 ოჯახს განასახლებს.

დევნილთა სააგენტოს ინფორმაციით, საცხოვრებელი ფართები კენჭისყრის პრინციპით განაწილდა.

„კენჭისყრის პროცედურის შედეგად გამოვლინდა, კონკრეტულად რომელ ბინას მიიღებენ დევნილი ოჯახები. ოთახების რაოდენობა ოჯახის სულადობის მიხედვით განისაზღვრება. იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ახალი ბინების გასაღები უახლოეს დღეებში გადაეცემათ", — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი სარეკრეაციო ზონა გონიო-კვარიათში

გონიო-კვარიათში, ზღვის პირას სარეკრეაციო სივრცე ეწყობა. სამუშაოების მიმდინარეობას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე გაეცნენ, — ამის შესახებ ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს.

პროექტის ფარგლებში, უკვე დასრულდა ქვაფენილისა და ბორდიურების მონტაჟი. მიმდინარეობს საბაღე სკამების განთავსება და საპარკინგე სივრცის მოსამზადებელი სამუშაოები. დაგეგმილია გარეგანათების მოწყობა. სარეკრეაციო სივრცის რეაბილიტაცია წელსვე დასრულდება. პროექტის ღირებულება 300 ათას ლარს აღემატება. პარალელურად, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

საზღვრის დარღვევაზე ზომების გამკაცრდება

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრება იგეგმება. შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შედის.

მოქმედი კანონმდებლობით, სასაზღვრო ზონაში შესვლის, ცხოვრების ან რეგისტრაციის წესის დარღვევაზე, პასუხისმგებლობის სახედ ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. ცვლილებებით კი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს — ტურისტული, სამეცნიერო-კვლევითი, სამონადირეო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას — გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, ჩადენილი სამრეწველო, სარეწი, ობიექტების მომსახურების, მშენებლობის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონით გათვალისწინებული ლიცენზირებადი საქმიანობის, საინებართვო ქმედების ან სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას — 50 ლარის ოდენობით. ასევე პროექტით, იურიდიული პირი ამ ქმედებისთვის დაჯარიმდება — 200 ლარის ოდენობით, ფიზიკური პირი დაჯარიმდება — 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი — 300 ლარის ოდენობით.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ სამართალდარღვევად განისაზღვრება საქართველოს ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საზღვრის დაცვის ობიექტების, საზღვრის დაცვის საშუალებების, ფოტო/ვიდეო/აერო გადაღება, რისთვისაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა 50 ლარის ოდენობით.

„კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საზღვრის დაცვის რიგი ობიექტებისა და საზღვრის დაცვის საშუალებების (ფოტოხაფანგები, სენსორები და სხვა) განლაგების ადგილების ფარულობა წარმოადგენს სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების (არალეგალური მიგრაცია, კონტრაბანდა და ა.შ.) აღმოჩენის და მასზე მყისიერი რეაგირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. შესაბამისად, მათი მდებარეობების გადაღება მაღალ რისკის შემცველია სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის", — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ „ᲑᲔᲓᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲙᲘ ᲡᲐᲜᲙᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ „ᲑᲝᲚᲨᲝᲘ ᲙᲐᲛᲔᲜᲜᲘ“ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ 1862 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ (ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ �თᲔᲐᲢᲠᲘ) 1877-1878 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲔᲖᲝᲜᲖᲔ.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔᲛ, ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲛᲐ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲘᲠᲘᲜᲐ ᲨᲐᲠᲐᲖᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲠᲝᲚᲡ, ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲝᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲪᲔᲜᲐᲡ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ. ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲕᲔ **ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ, ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲚᲔᲢᲝ ᲓᲐᲡᲘ,** ᲠᲐᲨᲘᲪ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲚᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲗ ᲣᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲣᲠᲡ **ᲖᲐᲖᲐ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ** ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲒᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.**

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲛᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ: **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲔᲜᲘᲐᲘᲫᲔ, ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲘ, ᲨᲗᲡ ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲫᲔᲕᲔᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ:** „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲬᲛᲔᲜᲘᲪ ᲐᲥ ᲒᲐᲕᲮᲓᲘᲗ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲣᲦᲐᲕᲔᲡ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲛᲐ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲛ **ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔᲛ** ᲓᲐ ᲢᲔᲜᲝᲠᲛᲐ **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲛᲐ“.**

ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲘ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲛᲐ ᲐᲦᲐᲗᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲡ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲘᲐᲢᲠᲘ: ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲜᲘᲭᲐ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲕᲔᲠᲢᲘᲣᲠᲐᲛ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲐᲖᲛᲐᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲝᲑᲘᲗ.

ᲗᲐᲛᲘᲚᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘ: ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲐᲡᲞᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲛᲐ ᲐᲦᲐᲗᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲡ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲙᲠᲝᲞᲔᲓᲘᲐᲢᲠᲘ: ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲜᲘᲭᲐ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲣᲕᲔᲠᲢᲘᲣᲠᲐᲛ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲝᲑᲘᲗ.

ᲜᲐᲜᲐ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

70 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲛᲐ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ“ ᲓᲐᲚᲐᲨᲥᲠᲐ

70 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲓᲠᲔ ᲕᲝᲚᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲡᲐᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ, ᲘᲝᲡᲔᲛᲘᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲘ – ᲛᲗᲐ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ“ ᲓᲐᲚᲐᲨᲥᲠᲐ. ᲢᲔᲚᲔᲐᲠᲮᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ – ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲡ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ“ 2017 ᲬᲔᲚᲡ, 66 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ 13 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲦᲐᲛᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲝᲚᲝᲕᲜᲘᲙᲘ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲘᲓᲐᲜ“ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲚᲐᲨᲥᲠᲐ ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ 6 ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ.



ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ „ᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ 914 ᲛᲔᲢᲠᲘᲐ. 1957 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲐᲡᲕᲚᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ – ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲗᲐ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲛᲐ ᲐᲚ�პᲘᲜᲘᲡᲢᲛᲐ ᲣᲝᲠᲔᲜ ᲰᲐᲠᲓᲘᲜᲒᲛᲐ ᲓᲐᲚᲐᲨᲥᲠᲐ.

„ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘ“ - ᲝᲡᲙᲐᲠᲖᲔ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ 94-Ე ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲠᲣᲚᲛᲔᲢᲠᲐᲟᲣᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲦᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘ“ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲝᲡᲙᲐᲠᲖᲔ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘᲐ ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ.

ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲡ ᲔᲮᲔᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲡ, ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ – ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲡ, ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ. „ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲤᲠᲣᲛᲘᲜᲛᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲙᲘ, „ᲝᲡᲙᲐᲠᲖᲔ“ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲝᲜ ᲞᲐᲞᲐᲛᲐᲘᲥᲚᲘᲐ.

„ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘᲡ“ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ, ᲢᲠᲐᲘᲑᲔᲙᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ, ᲚᲐᲣᲠᲐ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲒᲖᲘᲐᲕ. ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ, ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲘᲜᲝᲠᲝᲚᲘᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, „ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘ“ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ. „ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲑᲠᲐᲘᲢᲝᲜᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ, ᲢᲠᲐᲘᲑᲔᲙᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲝᲜᲘᲡᲘᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ **ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲛ** ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲧᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ **ᲘᲐ ᲨᲣᲦᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲝᲚᲐ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. 21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ. ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲣᲪᲘ ᲙᲐᲯᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ. ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ 20-21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ „ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ, ᲐᲜᲢᲒᲕᲔᲠᲞᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ „ᲠᲩᲣᲚᲘ ᲓᲐ



ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ, ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ, ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲚ�გᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ 7 ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ 3-ᲓᲐᲜ 18 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ 300 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-Შ